1897/4




საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 24 ივნისი 8 1897 წ. № 24

შინაარსი: ერობაზე მსჯელობა ჩვენში არავინისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—წერა-კითხვის საზოგადოების წლიერი კრება 3—სი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—***, ლექსი ვ. ანტონოვისა.—ჩვენი ლიტერატურის პატოლოგიური მდგომარეობა ერთი სტუდენტთაგანისა.—ნავთის სამეფო (დასასრული) ს. ქ—ნისა.—ფოთოლი, მოთხრობა განდეგილისა.—გაკვრით (შემდეგი) ია. ეკალაძისა.—ზეპირ-სიტყვაობის შეკრების შესახებ მესხი ჯ. გვარამაძესი.—ზოგიერთი ცუდი თვისებანი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარმოებაში (შემდეგი).—განცხადება.

,,კვალის'' ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანონ.

---

ჟურნალი **,,ჯეჯილი''** 1897 წ. გამოდის ყოველ თვე ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს და ჟურნალი ღირს თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მანეთი.

---

## ,,ერობაზე'' მსჯელობა ჩვენში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე სხვათა შორის ერთი ფრიად საყურადღებო საგანი იყო განხილული: სასურველია ჩვენთვის ერობა და ვითხოვოთ იგი, თუ არაო? ეს საგანი დიდი ხანია აღძრულია ჩვენ ცხოვრებაში და საკმაოთ აწონ-დაწონილი; მაგრამ, როგორც ყოველთვისაა ამისთანა შემთხვევაში, ახალი და სალი აზრი დაუბრკოლებლათ და უტკივრათ არ დაიბადება ხოლმე ამ ქვეყნათ: მას ყოველთვის თან დასდევს ძველი უაზრობის მცველთა ურჩობა, ჩვენებური კონსერვატიული ტკივილები.

ზ. გ. თუმანიშვილმა მოფიქრებული და დინჯი სიტყვა წარმოთქვა ერობის შესახებ: ნათლათ დაუხატა საზოგადოებას ერობის შინაარსი და მნიშვნელობა. ,,ერობა ადგილობრივი თვით-მართველობაა. ჩვენში ისმის ლაღადება, არა ვართ მომზადებული ამ თვით მართველობისთვისო. ვისაც სალი გონება მოდგამს, ის მომზადებულია ამ საქმისათვის. რუსეთის გუბერნიებში გლეხებსაც ირჩევენ ერობის წევრებათო''. მართლაც ეს ლაღადება დაპატიმრებულისა და ჩვენი დროის ვითარების უცოდინარი გონების ლაღადებაა. ეს ,,იმას ჰგავს არა სხვასა'', ვინმე ჩვენგანი რომ წამოდგეს და თქვას: არა ვარ მომზადებული იმისათვის, რომ ჩემი ოჯახი მოვაწყო და წარვმართო,—ჩვენი ,,უჩასტკის პრისტავი'' უკეთ მომიხერხებს, უკეთ წარუძღვება ამ საქმესაო. საერობო გადასახადი დღეს მთელ კავკასიაში იკრიბება, მარტო ტფილისის გუბერნიაში გლეხკაცობა 569,000 მან. საერობო გადასახადს იხდის წელიწადში და ყველა ეს ფული ადმინისტრაციის განკარგულებაშია; მას კი მრა-

ველი თავისი პირდაპირი საქმე აწუხებს და ჩვენ ქვეყანას ერობის მაგიერობას ვერ გაუწევს.

გზების გაყვანა-მოწყობა, დღესავით ნათელი საკეთილდღეო სახსარი, ერობის საქმე იქნება, თუ დაწესდა იგი ჩვენში; მისი საქმე იქნება ხალხის განათლებაცა და მის ჯან-საღობაზე ზრუნვაც,—საექიმო საბეითალო ნაწილი და სხვ.

ჩვენ კი ვიძახით, არა ვართ მომზადებული, ჩვენი ფულიც რომ მოგვეცეს ხელში, ჩვენთვის გზები გავიკეთოთ, არა ვართ მომზადებული, რომ ჩვენ განათლებაზე ვიზრუნოთ, არა ვართ მომზადებული, ჩვენი ტანის სიმრთელე დავიცვათ, ჩვენი სხეული სუფთათ შევინახოთო...

პოლიცია ჩვენზე უკეთ გაგვიკეთებს გზასა და ზედ დაგვაყენებსო, პოლიცია ჩვენზე უფრო ლამაზათ გაგვანათლებს, ჩვენზე უფრო ჩქარა შეგვძენს ჯან-საღობას, ტანზე ჭუჭყს მოგვბანს და გაგვასპეტაკებსო.

ამგვარი ფილოსოფია უსუსური, ფეხ-აუდგმელი ბალღის ფილოსოფიაა. ჩვენი გონება ჯერ-ჯერობით აკვანში წევს, არტახ სახვევ შემოკრული, და არხეინათ ძინავს. დროა გავიღვიძოთ, დროა შევიგნოთ, რომ ადმინისტრაცია ჩვენ სიარულს ვერ გვასწავლის: ჩვენ თვითონ უნდა გადავდგათ პირველი ბიჯი, ჩვენ თვითონ უნდა ვეცადოთ, უსუსურ ძუძუ-მწოვარობას თავი დავახწიოთ, ჩვენ თავზე თვითონვე ვიფიქროთ, ფეხები ჩვენვე გავიმაგროთ....უამისოთ თავის დღეშიაც ვერ ვისწავლით სიარულს, კეთილდღეობისა და წარმატების გზაზე ვერ გავალთ და ჩვენსავე უღონობა-უსუსურობას დავეჩაგვრინებით.

მართლაც, რომ დავუკვირდეთ, მშვიდობიანსა და სანეტარო ყოფაშია დღევანდელი ქართველი კაცის გონება. ჩვენი აწმყო წყნარათ არწევს ჩვენ ქართულ გონებას და ტკბილ ნანას დაჰღიღინებს: რათ გვინდა თუმც ცოცხალი, მაგრამ თავსატეხი საზოგადო საქმე, როდესაც ჩვენი პირადი საქმეებიც გვეყოფიან. ჩვენი პაწია კარ-მიდამოსთვისაც ვერ მოგვიცლია რიგიანათ! რათ გვინდა ერობა, სად შეგვიძლია წარუძღვეთ ამ რთულ საქმესაო?—საამისოთ არც ცოდნა, არც მოცალეობა არ გვაქვსო. ნეტავი ჩვენ!

ლოგინში მწოლარე კაცი თავის დანიშნულებას და ამ ქვეყნათ თავის ადგილს ვერ გაიცნობს, თუ ქოჩორში ხელი არ იტაცა, თავისი თავი ლოგინიდან არ გადმოაბძანა და გარეშამო არ მიახედ-მოახედვინა. ადამიანმა ცოტა ძალა თუ არ დაატანა თავის თავს, ცოტათი თუ არ შეათამაშა თავისი გონება, ვერასოდეს ვერ შეიტყობს, თუ რა სამუსიკო სიმები ინახება მის სულსა და გულში. მწოლარე სხეულის მსჯელობა ყოველთვის ძველი, ხავს-მორეულკონსერვატიულია: ვწევარ და არა მიჭირს-რაო,—ავდგები, ბიჯსა გადავდგამ და ვინ იცის, რომელ ხრამში ჩავიჩეხებიო. ამას მხოლოთ ის იტყვის, ვისაც ადამიანის გონება ლამპრათ არ მიაჩნია, ვისაც თავისი ჭკუისა და მხედველი გრძნობის იმედი არა აქვს, ვისაც არაფერი იდეალი არ ანთებია გულში ამ წუთისოფლის მანათობელათ.

„ჯერ გავნათლდეთ და მერე შემოვიღოთ ერობაო“—ამბობენ ჩვენი ძველი ქართველი კონსერვატორები.

ე. ი. ჯერ გავნათლდეთ და მერე შევიდეთ სწავლაშიო. ამ რჯულის მლალადებელთ მზა-მზარეული, ხონჩაზე მორთმეული, დოშ-პრას-ნიახურით გარშემოლაგებული განათლება უნდათ. თითქოს ყველა ეს საიდანაც მუქთათ, ჩვენ თით-გაუნძრევლათ მოგვერთმევა, ჩვენი გულის გასახარათ და დასატკბობათ,—თითქოს ერობის შემოღება ჩვენში იგივე განათლება, იგივე თვით-განვითარება, ჩვენი გონების გახსნა-განსპეტაკება არ იქნება.

თ. გ. ორბელიანმა ბძანა, ერობა რუსეთისათვის ისეთი ჩექმა გამოდგა, რომ ფეხზე წაუჭირა და ზოგ ალაგას ფეხის კანიც გაუხეხაო.

მაშ ნუ თუ ამიტომ, ახალი ჩექმის დაშინებულნი, „დღეთ სიკვდილამდის“ ფეხ-შიშველა სიარულს გვირჩევთ., ბ. ორბელიანო? ქვეყანაზე არ მოიძევება ჯერ-ჯერობით იდეალურ-განყენებული ჩექმა, ეთერისაგან შეზავებული: ყოველი ჩექმა ამ წუთი-სოფელში ტყავისაგან კეთდება და იმიტომ არ შეიძლება, ფეხზე ერთი რომელიმე ადგილი არ აგიწვასთ და არ დაგიმეჭეჭოსთ. სამაგიეროთ ეს შიშის ზარ-დამცემი ჩექმა თქვენი ფეხის დანარჩენ სივრცე სიგანეს იცავს ყოველ-გვარ უამობისაგან, ტალახ-კენჭ-მტვერ-შუშეულობისაგან. ნუ თუ თქვენ ფეხზე ჩექმისაგან ერთი გახეხილ—დაშავებული, უბადრუკი წერტილი უფრო გიყვართ და გეცოდებათ, ვიდრე თქვენივე ფეხის დანარჩენი სიგრძე-სიგანე?! მყუდრო ფეხ-შიშველობას რომ გვირჩევდით, იმ დროს ხომ არა ეთერისა, არამედ ტყავის ჩექმებში ფეხებ-ჩადგმულნი გვიდექით თვალ-წინ, ბ. ორბელიანო. მაშ როგორ შეუთანხმო-შეუმწყობროთ სიტყვანი თქვენნი ყოფაქცევასა თქვენსა, ბატონო ორატორო?

დღეს მთელმა რუსეთის იმპერიამ იცის, რომ საერობო გუბერნიებში კეთილ-დღეობა და განათლება ბევრათ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ერობა-მოკლებულში: ამას ცხადი სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენ და ამაზე სჯა-ბაასი მეტია.

მეორე ჩვენი შიში—უბადრუკ-საბრალოთა და სამარადისოთ გულ-მოკლულთა პაწია შიშია... ერობა თუ მოგვეცეს, მარჯვე მეზობლები გამოგვაცლიან

ხელიდან და პირში ჩალას გამოგვაელებენო. თუ თქვენი თავის იმედი არაფერში გაქვთ, ბატონებო, არა ჰჯობია თქვენვე მოუსპოთ დღენი უბადრუკსა თავსა თქვენსა და მახლობელ ხრამ-ღრატოში გადაიჩეხოთ? თუ ყოველთვის, როცა განგება ზეცით რაიმე საჩუქარს ჩამოგიწვდით, შესძახებთ: ალ მინდა, ალ მინდა, აი, ეს ავი მეზობელი წამართმევს და ,,ვავა-ს" მიზამსო!"—სწორეთ მალე აშენდება თქვენი ოჯახი. სხვა რომ არა იყოს-რა, ჩვენი დროის საყვარელი, ჩვენი ძველი გმირობა გაიხსენეთ. მახლას, რომ ჩვენი დღევანდელი გმირობა ჩვენი ძველი გმირობის კარიკატურა-შეურაცხყოფაა. ჩვენი დღევანდელი გმირობა-შიში და სულ-მოკლეობაა, ,,სიტყვით სწორი და საქმით კუზა" გმირობა-ვაჟკაცობაა და სხვა არაფერი...

ამისთანა გმირობა ჩვენი სირცხვილი, ქვეყანაში ჩვენი თავმოჭრა—დამცირებაა, სხვა რომ არა იყოს-რა...

ღმერთო, როდის მოგვევლინება ზეცით გულკეთილი და ჩვენი მხსნელი მზარეული, რათა ჩვენ, ძველათ რომის დახსნის კილოზე მოყარყატე ბატები, ერთ დიდ ტაფაზე მოგვხრაკოს და განათლებულ ევროპიულს აზრს მიგვართვას კეთილ-სასაუზმოთ!

არავინ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ტფილისის თავად-აზნაურთა კრება დასრულდა 3 ივნისს. სჯა-ბაასი შემდეგ საგნებზე იყო: კახეთის რკინის გზაზე თავმჯდომარემ თ. კ. მუხრანბატონმა გამოაცხადა: კომისიის დადგენილობით ხელმწიფე იმპერატორს არზა მივართვით ამ საგანზეო (წაიკითხეს არზა). თავად აზნაურობა შუამდგომლობს, რათა ხაზინამ თავის ხარჯით გააკეთოს კახეთის რკინის გზა, ან არა და თავად-აზნაურობას მისცეს კონცესია უგარანტიოთ. სამინისტრომ უკვე 35,000 მან. გადადვა ამ გზის გამოსაკვლევათ. ბ. თავმჯდომარეს ჰკითხეს, დაიბრუნეთ თუ არა თავად-აზნაურობის ხარჯით შედგენილი კახეთის გზის გამოკვლევაო, რომელიც ძველ მარშალს ბ. მაღალაშვილს ებარაო? ბ. მუხრანბატონმა თქვა: დეპეშით დავეკითხე ბ. მთავარ მართებელს და მიპასუხა თავად-აზნაურობას არ მიეცემა გზის გაკეთების ნებაო, თვით ხაზინა გააკეთებს ამ გზასაო. მეც არ მომითხოვია ბ. მაღალაშვილისაგან ჩვენი პლანი და დოკუმენტებიო. თ. ი. გ. ამილახვარმა თქვა: მთავრობა, როგორც თვით ბ. მთავარ-მართებელისაგან მაქვს გაგონილი, თანაუგრძნობს ამ საქმეს და სიამოვნებით მისცემს ამ გზის გაყვანის ნებას საიმედო კაპიტალისტს, თუ თავად-აზნაურობა წარმოადგენს ამისთანა პირსაო. ბ. მთავარ-მართებელმაც აღგვითქვა დახმარება ამ საქმეშიო. თ. ნ. ჩოლოყაშვილმა თქვა: მეც ასე მითხრა გზათა მინისტრმა, თ. ხილკოვმა: მხოლოთ კერძო კამპანიას დავუთმობ ამ გზის გაყვანასო. შემდეგ ცხარე კამათი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ახლანდელმა გუბერნიის მარშალმა თავად-აზნაურთა ქონება, 15,000 მ. ღირებული გზის გამოკვლევა, არ დაიბრუნა. დასრულდა კამათი და ფრიად საყურადღებო საგნის, განხილვაზე გადავიდა კრება—ერობის შემოღებაზე ჩვენში. ამ საგანს ცალკე წერილი ვუძღვენით ამ №-ში და შემდეგ №-ში მოვიყვანთ ბ. გ. თუმანიშვილის სიტყვის შინაარს. ამ საგნის დაწვრილებით შესამუშავებლათ და აზრის დასადგენათ არჩეულ იქმნა საგუბერნიო კომისია, რომელიც თფილისში შეიკრიბება და ყოველ მაზრიდან ორ-ორი არჩეული პირებისაგან შედგება.

შემდეგ კენჭის-ყრაზე გადავიდენ. არჩეულ იქმნენ მაზრის მარშლები: თელავისა—თ. დ. ს. მაყაშვილი, დეპუტატათ—თ. ი. გ. ჭავჭავაძე, დუშეთისა—გ. ა. ყარანგოზიშვილი, დეპუტატათ—დ. რატიშვილი; თფილისისა—ი. ვ. საგინაშვილი, დეპუტ.—გ. ი. ყარაევი; გორისა—ი. გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, დეპუტ.—ი. რ. თარხან-მოურავი; ბორჩალოსი—თ. გ. დ. აბხაზი, დეპუტ.—ი. შანშიევი; სიღნაღისა—თ. ი. შალიკაშვილი, დეპუტ.—თ. ს. დ. ანდრონიკაშვილი. 3 ივნისს ამორჩეულ იქნა გუბერნიის მარშლათ ისევ თ. კ. მუხრანბატონი (130 თეთრი და 57 შავი); მის კანდიდატათ: ი. დ. სულხანიშვილი, თავ.-აზნ. ქარვასლის საურავათ არჩეულ იქნა კომისია, შვიდი პირისაგან შემდგარი: თ. ი. ს. ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), ნ. ი. არჯევანიძე, თ. ი. გ. ჭავჭავაძე, თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, ზ. ზ. გედევანიშვილი, აბას ბეკ იედაგაროვი, თ. ქ. ქ. ჴერხეულიძე.

*
* *

2-ს და 4-ს ივნისს მოხდა ქართვ. დრამატული საზოგადოების კრება. მიღებულ იქმნა 85 ახალი წევრი. ორი წელიწადია, რაც არ ყოფილა საზოგადოების კრება. წაკითხულ ანგარიშიდან ჩანს, რომ ამ დროს განმავლობაში საზოგადოებას ორას თუმნამდის ზარალი უნახავს. წელს სარევიზიო კომისიას არ განუხილავს საზოგადოების საქმეები: თავს იმითი იმართლებდა: ერთი წლით ვიყავით ამორჩეულნი, ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, შარშან უნდა მოგეხდინათ კრება და ახალი კამისია უნდა ამოგერჩიათო. გასულ წელს ამი-

ტომ არ ყოფილა კრება, რომ გამგეობამ ვერ მოასწრო დროზე საქმის დაწყება: არტისტებთან მოლაპარაკება და ქ. ქუთაისში წარმოდგენების ორგანიზაციის გამორკვევა, ამიტომ 1897 წ. ხარჯთ-აღრიცხვაც ვერ შედგა. საზოგადო კრებამ გამოუცხადა გამგეობას, ყოველ წლივ უნდა მოახდინოთ კრებაო.

გამგეობის ანგარიშიდან ჩანს, რომ მას 1895 წ. შეუდგენია რეპერტუარი 24 ახალი პიესით (სხვათა შორის იმათში არიან კლასიკური ნაწარმოებნი: ქრისტიანული ცოლის მორჯულება,—შექსპირისა, ურიელ-აკოსტა,—გუცკოვისა და სხვ.). ორიგინალური პიესები შემოუტანიათ: ბ. გ. ქურულს, პ. ყიფიანს, ბ. ხოშტარიას და ჯავახიშვილს. ამას გარდა გამგეობას კიდევ 20 სხვა პიესა შეუძენია, ამ ორი წლის განმავლობაში 60 წარმოდგენა ყოფილა. გამგეობა ყოველი მხრით ცდილა, წარმოდგენების საქმე კარგათ მოეწყო, მაგრამ ბევრმა დაბრკოლებამ, არტისტთა უდისციპლინობამ, საზოგადოების გულ-გრილობამ და სხვა-და-სხვა ჩვენი ცხოვრების გარემოებამ შეაფერხა იგი. თავად-აზნაურობამ ხუთასი მანეთი რომ მეტი მოეგო, თეატრი კერძო პირთ მიაქირავა და ამით საზოგადოება საკმაოთ აზარალა. ქუთაისმა ცხოველი თანაგრძნობა აჩვენა საზოგადოებას: იქაურ წარმოდგენებიდან 537 მ. მოგება დარჩენილა. გამგეობის თაოსნობით იქ ადგილობრივი კამისია დაარსდა, რომელიც მხნეთ განაგებს საქმეს. სხვა ქალაქებშიაც დახმარებია გამგეობა ქართულ წარმოდგენებს ტანისამოსისა და არტისტების გაგზავნით. გამგეობა ძლივ-ძლივობით ასწრებს თფილისში თეატრის საქმის მოწყობას: მთელი მისი ძალ-ღონე ამ ქართულ საქმეს უნდება, ამიტომ არჩეულ იქმნა გამგეობის მომხმარეთ ახალი კამისია (ნ. ხიზანაშვილი, გ. და ა. ყიფშიძენი, ი ნაკაშიძე და ა. ახნაზაროვი); ამით გამგეობას საშუალება მიეცემა, მეტი ყურადღება მიაქციოს თავის პირდაპირ საქმეს: რეპერტუარს, პიესების ამორჩევას, ენის სიფაქიზეს და სხვ.

გამგეობის წევრმა გ. ლასხიშვილმა ფრიად საყურადღებო ცალკე მოხსენება წაუკითხა კრებას საზოგადოების რეფორმას შესახებ. ამ 16 წლის განმავლობაში დრამატ. საზოგადოებამ ვერ დაიმსახურა საზოგადოების თანაგრძნობაო, იმიტომ რომ თავის პირდაპირ მიზანს აცდა და მხოლოთ თფილისის დასის შემნახველ ანტრეპრენიორათ გახდა. წესდება ამბობს, რომ დრამატული საზოგადოების ასპარეზი მარტო ქ. თფილისი არ უნდა იყოს: მისი საქმე მკვიდრი რეპერტუარის შედგენა, დრამატული სასწავლებლის დაარსება, სახალხო თეატრის მოწყობაა. ამდენ ხანს საზოგადოება არტისტების მზრუნველი იყო, რის გამო არტისტები „ჩინოვნიკებათ" გადაიქცენ, თავის დროზე ჯამაგირს იღებენ და საქმეს არ ბეჯითობენო. დავანებოთ თავი მზრუნველობას. არტისტებმა საკუთარი წრე შეადგინონ, მხოლოთ თავისი თავის იმედი იქონიონ და ცხოვრება გაწრთვნის იმას და ბეჯითობას ასწავლისო. დრამატული საზოგადოება საჭიროების დროს დაეხმარება იმათ და საშუალება მიეცემა, წესდებაში გამოთქმულ აზრს ემსახურონო.

გამგეობაში მხოლოთ ერთი წევრი ჰყავს მომხრე გ. ლასხიშვილს, ბ. ისარლიშვილი, უმრავლესობა კი მის აზრს არ ეთანხმება. გ. ლასხიშვილის მოხსენების განსახილველათ და თავისი აზრის წარმოსადგენათ არჩეულ იქმნა კრებაზე ახალი კამისია. (ნ. ხიზანაშვილი, ა. ყიფშიძე, პ. ყიფიანი და ი. ნაკაშიძე). ორმა გამგეობის წევრმა დაანება თავი საქმეს: ბ მაჭავარიანმა და ბ. ისარლიშვილმა. მათ მაგიერ არჩეულ იქმნენ: კოტა აბაშიძე და ს. ვახვახიშვილი, კანდიდატებათ: ვ. ქოქინაძე, ა. ახნაზაროვი და გ. დეკანოზიშვილი.

* *
*

ქალაქის პირველ არჩევანებს შემდეგ ყველა ამორჩეულმა ქართველებმა უარი განაცხადეს ხმოსნობაზე. დარჩა მხოლოთ ერთი თ. ი. ორბელიანი. მეორე დამატებით არჩევანზე, რომელიც მოხდა 1 ივნისს, ქართველთაგანს არავის დაუდგამს ყუთი, გარდა ბ. კალოუბნელისა და ბ. სულხანიშვილისა, რომელნიც არჩეულ იქმნენ. როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, უკვე შეტანილია საჩივარი ნ. თამამშევისაგან წრევანდელ არჩევანების უკანონობაზე.

*
* *

უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო ბანკისა და მის განყოფილებათა მსესხებელ თავად-აზნაურთ სხვა-და სხვა შეღავათი მიეცათ და შესატანი სარგებელი 1 მაისიდან ამ წლის $3^1/_2\%$-ი დაეკლოთ.

*
* *

წარსულ კვირაში გარდაცვლილმა არტემ გაბრიელის ძე იუზბაშევმა სხვათა შორის ორასი თუმანი უანდერძა წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლას.

*
* *

„Вѣст. Випод."-ს სიტყვით ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლივ 3,150,000 ვედრო ღვინო კეთდება, რომელიც უფრო ადგილობრივ, ქუთაისის

გუბერნიაში და ამიერ კავკასიაში სალდება, რუსეთში კი მცირეთ მიდის. (კავკ.).

***

თფილისის მე-III დედათა გიმნაზიაში 298 შეგირდი ითვლება, ამათში ქართველი ქალები 7,1%-ია. სწაელა წელს ორ ქართველ ქალს დაუსრულებია. ქალთა ინსტიტუტში წელს 241 მოსწავლე ითვლებოდა: ამათში 69—ქართველი ქალია; ამათგან სამმა დაასრულა წელს კურსი. სასულიერო სემინარიაში წელს ოც-და-ცხრა მოწაფემ დაამთავრა კურსი, რომელთაგან 26 ქართველია.

***

„ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ წლის ივნისის „14“-ს, შაბათს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია საზოგადო, წლიური კრება.

კრებისმიერ გასარჩევი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1896—წლის ანგარიშისა.

2) ხარჯთ-აღრიცხვა ამ 1897 —წლისა.

3) არჩევა გამგეობისა, სარედაქციო და სარევიზიო კამისიების წევრთა.

4) მიღება ახალ წევრთა.

5) დივიდენდის განაწილება.

## წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრება 1 ივნისს.

როგორც მოგეხსენებათ, პირველი კრება არ შედგა, რადგან წევრთა საკმარისი რიცხვი არ დაესწრო. მეორე კრებაზედაც არ შეწუხებულან წევრები: სულ დაესწრო ოც-და-ათამდის. ჩვენი საზოგადოება მაინც და მაინც შესაფერათ ვერ აფასებს ამ ჩვენ გამანათლებელ დაწესებულებას. თუმც საკმაო რიცხვი წევრებათ ითვლება საზოგადოების სიაში, მაგრამ საწევრო ფული კი ნაკლებათ შემოდის. 1 იანვრისთვის 1897 წლისა საზოგადოებას შეადგენდენ: საპატიო წევრები—8, დამფუძნებელნი—90, ნამდვილნი წევრნი—420 და დამხმარებელნი—19. თუ არ ჩავთვლით დამფუძნებელ და საპატიო წევრებს, რომელთაც ხვედრი გადასახადი ან წინდაწინვე აქვთ შემოტანილი, ან დროზე შემოაქვთ, ნამდვილ წევრებში, რომელთა რიცხვი 420, გასულ წელს საწევრო ფული შემოუტანიათ მარტოთ—34 კაცს და ამათ რიცხვშიაც ზოგს საწევრო ფული—ექვსი მანეთი, არ შეუსრულებია. ეს სამწუხარო მოვლენა სწორეთ საგონებელში აგდებს ქართველს: ნუ თუ ამისთანა განმანათლებელ დაწესებულებას მეტი თანაგრძნობა არ ეკადრება?! კრებამ დაავალა გამგეობას, რომ ეცადოს და ხვედრი ფული შემოატანიოს წევრებს; გარდა ამისა გადაათვალიეროს საზოგადოების აგენტების სია და, სადაც საჭიროება მოითხოვს, ამოარჩიოს ახალი პირები.

საანგარიშო 1896 წელს საზოგადოებას ჰქონდა შემოსავალი—6,377 მან. 79 კაპ., ხარჯი კი—9,277 მან. 95 კაპ., ასე რომ ხარჯმა გადააჭარბა შემოსავალს 2,902 მ. და 16 კ. საზოგადოებას აქვს თავისი სკოლები, სამკითხველოები, წიგნთ-საცავი. საზოგადოების სკოლები იმყოფებიან ბათუმში, ხელთუბანში, წინირეხში, თიონეთში, კავკავში; გარდა ამისა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი განყოფილება სენაკში. ყველა ეს სკოლები უმეტეს ნაწილათ ინახება ადგილობრივი საზოგადოების ხარჯით.

საზოგადოება თვალ-ყურს უფრო სწავლის საქმეს ადევნებს. სამწუხაროთ, შესაფერი რევიზია არ არის, ბევრი მიზეზების გამო. გასულ წელს არც ერთ სკოლაში არ მოუხდენიათ რევიზია. ამის გამო საზოგადოებას ნათლათ არ აქვს წარმოდგენილი სკოლების მდგომარეობა.

სამკითხველოები საზოგადოებას აქვს: ორი თფილისში, ერთი ახალციხეში. გარდა ამისა საზოგადოება შეძლების დაგვარათ დაეხმარა ყველა სკოლებს, სამკითხველოებს, რომელთაც მას მიმართეს.

როგორც ვიცით, საზოგადოება ცდილობს შეიძინოს ძველი წიგნები, გუჯრები და სხვა კულტურული ნაშთი. დღეს ეს სიმდიდრე სივიწროვის და შესაფერი ადგილის უქონლობის გამო თითქმის ერთათ არეულია და შესაფერათ ამ მასალით სარგებლობა გასაჭირია. ამიტომ კრება დიდი სიხარულით მიეგება გამგეობის სურვილს, რომ რაიმე გვარათ ეცადოს და შესაფერი შენობა ააგოს წიგნთ-საცავისათვის.

ბოლოს კრებამ ჩარიცხა წევრათ ათი პირი, რომელთაც წელს განაცხადეს წევრობის სურვილი.

პ.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

მ. ჭიათურა. ამ სამი-ოთხი თვის წინათ აქ ერთმა შავი ქვით მოვაჭრემ, ბ. ირ. ერქომაიშვილმა, ხელის-მოწერით შეაგროვა სამი თუმანი,

შემოქმედის (ოზურგეთის მაზრა) უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ. რომ შეიკრიბებოდა, როგორც ამბობდა ბ. ერქომაიშვილი, გაზეთის საშუალებით უნდა გამოცხადებულიყო. ველით ამდენ ხანს ამ გამოცხადებას და ვერ ველირსეთ. რა არის მიზეზი? ეს ფული მეტ ნაწილათ მდაბიო ხალხში არის მოკრებილი. ვთხოვთ ბ. ერქომაიშვილს გვაცნობოს რა უყო ის მოგროვილი ფული...

შემომწირველთაგანი.

***

ს. ხორითი. (შორაპნის მაზრა). ამას წინეთ ს. ხორითში გარდაიცვალა ღრმა მოხუცი, მურძაყან ასათიანი. ჩვეულებისამებრ პირისუფლებმა მოიწვიეს ნათესავები და მეზობლები, იტირეს და გამოასვენეს გვამი მიცვალებულისა. უეცრივ, გზაში პროცესსია შეჩერდა და ხალხმა უკან დაიხია. ვინც უკან ვიდექით, ვერ გავარკვიეთ, თუ რა იყო ამის მიზეზი. შემდეგ მოგვესმა ვიღაც ქალის უშვერი ლანძღვა-გინება, რომელიც მიცვალებულს ეკუთვნოდა. როცა ხალხმა მიიწ-მოიწია, გზის პირზე დავინახეთ ეშმაკივით გაბრაზებული ქალი, რომელიც ხალხის წინააღმდეგ გამკლავებულ ძველ დროის რაინდ-ქალებს მოგვაგონებდათ. ცოტა ხნის ყოყმანს შემდეგ ხალხი ისევ გაიშალა და მსვლელობა განაგრძო, მაგრამ გმირმა მანდილოსანმა ისევ მალე შეაჩერა იგი. ვერ წარმოიდგენთ, რა ლანძღვა-გინებით იხსენიებდა მიცვალებულს. შემდეგ მივარდა მღვდლებს და გამოუცხადა: მე თქვენ გირჩევთ, ვინც სიცოცხლეში მძულდა უკანვე გაბრუნოთო. როდესაც ნამდვილათ დარწმუნდენ, რომ ქალი აღარ ხუმრობდა და თავისას არ იშლიდა, დაასვენეს მიცვალებული გზაზე, შეატყობინეს ადგილობრივ ბოქაულს, ბ-ნ ლოლობერიძეს, რომელმაც სწრაფლ აფრინა მამასახლისი მოხელეებითურთ, წეს რიგის დასაცველათ. თუმცა მიცვალებულს და ხალხს მღვდლების მაგიერ ახლა მამასახლისი მიუძღოდა, ცხედარი მაინც ვერ დაიფარეს ქალისაგან. იგი თავისას არ იშლიდა და ილანძღებოდა. ამ ბრაზიანობის მიზეზი გაუგებარი დარჩა.

ლ. უნაგირ-მთელი.

***

ს. ებალაური (ოზურ. მაზრ.) მდებარეობს 32 ვერსტის სიშორეზე ქ. ოზურგეთიდან. საცხენოსნო გზა რიგიანი არა აქვს. ხალხს ექიმი არა ჰყავს, იშვიათათ თუ გაიგონ ამ სოფლებში ექიმი, ისიც მხოლოთ თავისი პირადი მოვალეობის ასასრულებლათ; მაშინაც ავათმყოფს არ ინახულებს ხოლმე. საზოგადოთ ავათმყოფობა აქ ისე მძლავრობს, რომ ზაფხულობით ერთი სახლიც არ დარჩება, რომ ერთი მაინც არ იყოს ავათ ციებ-ცხელებით. მიზეზი, რასაკვირველია, მავნებელი ჰავაა. ადგილის მდებარეობა დაბლობი, ჭაობიანია. ავათმყოფებს აქიმობენ აქ მაწანწალა მარჩიელები, რომლების წყალობით მრავალი ჯან-საღი ადამიანი გამოესალმა წუთი-სოფელს. ყველას ომედი მოგვეცა, როცა ამას წინეთ ერთი უცხოელი, სახელმწიფო სამსახურში ვადა დასრულებული, ფერშალი დასახლდა. მან იქირავა ერთი პატარა სახლი, შიგ შუაგულ სოფელში, და ექიმობით ირჩენდა თავს: ზოგს თავისი პატარა აფთექიდან აძლევდა წამალს, ზოგსაც—რეცეპტს დაუწერდა და, ამნაირათ, ყველას შეძლებისა-და-გვარათ შემწეობას აძლევდა. მაგრამ აქაურებმა არ გაახარეს ეს პატიოსანი კაცი. ვიღაც ბოროტმა კაცმა ღამით, როცა ფერშალს ცოლ-შვილში ეძინა, ჩუმათ გარედან „ფიშტო“ *) ესროლა, თუმცა მის ლოგინს დაუპირდაპირა, მაგრამ ტყვია აცდა საწყალ კაცს. ამას შემდეგ ფერშალი იძულებული გახდა, გაცლოდა ამ სოფელს. ავათმყოფთ ახლა ვიღაც „ნინო — მარჩიელი“ აქიმობს თავისებური ბალახ-ბულახით.

აქ თვეც არ გაივლის, რომ ერთი უწესოება მაინც არ მოხდეს რამე. გაძარცვა, სახლის დაწვა, ჩხუბი და სხვა აქ ხშირი მოვლენაა და არც ერთი ამისთანა დანაშაული არ დასჯილა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მხარე ერთნაირი ბუდეა უწესოებისა. საჭიროა ადგილობრივ პოლიცია ენერგიულათ შეეცადოს უწესოების მოსპობას, როგორც ს. ებალაურში, ისე ს. ხაჯალიაშიაც.

ი. გორდელაძე.

***

სად. განჯა. 25 აპრილიდან სხვა-და-სხვა მიზეზების გამო იძულებული გავხდი, რომ განჯის სადგურის სამკითხველოს გამგეობა გადმეცა ბ-ნ გ—კოვისთვის ეს მიზეზები თავის დროზე გამოცხადებული იქნება ჩემ მიერ, თუ კი საზოგადოება მოითხოვს. როგორც მოგეხსენებათ, 1893 წლიდან არსებობს ჩვენი სამკითხველო და, თუმცა ბევრი დაბრკოლება შეხვდა სხვა-და-სხვა პირებისაგან, მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავდით სადგურელები და შეძლებისა-და-გვარათ ვიღწვოდით სამკითხველოს გაუმჯობესობისათვის. მაგრამ საუბედუროთ, 26-ს მაისს, შევედი თუ არა სა-

*) გურული დამბაჩა.

მკითხველოში, შემდეგი განცხადება დავინახე კედელზე გაკრული: „Г.г. члены—читатели! Увѣдомляю, что читальня закрывается, такъ какъ за второе полугодіе деньги никѣмъ не внесены, а потому и редакціямъ газетъ не дошлется. Газета „Новое Обозрѣніе“ не получается“. Гладковъ. სასურველია სანამ ბ-ნი გ—ვი სამუდამოთ დაჰხურავდეს სამკითხველოს კარებს, მოიწვევდეს რამდენსამე შეგნებულ პირს და გამოიკვლევდეს სამკითხველოს დაქვეითების მიზეზებს; თორემ მარტო განცხადება: „სამკითხველო იკეტება, ფული თუ არ შემოიტანეთო“... ვერაფერს ვერ გვიშველის. საზოგადოებას სამკითხველო სწყურს, მაგრამ ზოგიერთ მიზეზების გამო გული აცრუებული აქვთ წევრებს. გ—ვისებური განცხადება, გარდა იმისა, რომ სამკითხველოს დაგვიკეტავს, რედაქციებსაც ზარალს მოუტანს, რადგანაც მათი ვალი ჰმართებს ჩვენს სამკითხველოს: ჟურნალ-გაზეთები შეუწყვეტლივ მოგვიდიოდა.

ერ. გენძეხაძე.

* * *

ჯერ კიდევ შემწევს ბრძოლისთვის ძალა,
სიცოცხლით ჩქეფავს ძარღვებში სისხლი
და ტანჯვით ნამგერ გულის სიღრმეში
კიდევ ღვივდება იმედის ცეცხლი!

—

ჯერ ვერ მომკვდარა სული ძლიერი,
ლაღობს სურვილი დაუცხრომელი
და ფიქრთ ეძლევა ჩვეულებრივთა
აზრი, გონება მუდამ მშრომელი.

—

წყურვილ-მორეულს ვერ შემაფერხებს
ვერც გზა კლდიანი, ვერცა გრიგალი,
გულგაუტეხლათ მუდამ ვიბრძოლებ,
სანამ კი შემწევს, მცირეც არს, ძალი.

—

მე ბრძოლამ მშობა და ბრძოლავე მზრდის,
სიცოცხლის საგნათ იგი გარდმექნა
და მხოლოთ ბრძოლით და მომეცემა
ანუ სიკვდილი ან სრულიად ხსნა.

ვ. ანტონოვი.

# ჩვენი ლიტერატურის პათოლოგიური მდგომარეობა.

ბოდიშს ვითხოვ, როგორც თქვენთან, ისე საზოგადოების წინაშე, რომ კვლავ ვეხები უკვე გამორკვეულ საგანს. თავის გასამართლებელ, ანუ როგორც იურისტები იტყვიან, დანაშაულის შემამცირებელ გარემოებათ მე ის მაინც ჩამეთვლება, რომ ვეცდები შეძლებისამებრ კერძოთ არავის შევეხო ამ „შენიშვნაში“ და ჩვენში კი ასეთი „კეთილი სურვილიც“ მგონი კარგი ღვთის წყალობაა.

მე მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ „ჩვენებური პოლემიკის“ გამო, რომელშიაც ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წევრები ერთმანერთს (და უფრო კი ბ.ნ გ. წერეთელს) ასე დაუნდობლათ მოექცენ. მე ჩემი თავი ისე ბრმათ არ მიმაჩნია, რომ ადამიანის სიმრუდე და სიყალბე ვერ შევამჩნიო, მაგრამ ვერც ისეთ გულთამხილაობას ვიკისრებ, რომ უჩინარი დავინახო და თანაც მიკვირდეს, რატომ სხვებიც ვერ ხედვენ-მეთქი. პირიქით ამ ჟამათ ის მაოცებს, რომ ჩვენში „სერდცევედენიე“ ეპიდემიათ გადაიქცა.

ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენ ინტელიგენციას ხალხში სახელი გაუტყდა. ამას ყველა ხედავს, უარს ვერავინ იტყვის. ყველა მიზეზების ჩამოთვლა, თუ რათ დაჰკარგა მან უწინდელი ნდობა, აქ საჭიროთ არ მიმაჩნია, მაგრამ ერთი მათგანი კი ყველასათვის ცხადია: თვით ინტელიგენციამ დათესა ის თესლი, რომელმაც ასეთი ნაყოფი მოიტანა, თვით ინტელიგენციამ დასცა თავისი პრესტიჟი და ავტორიტეტი მკითხველისა და მაყურებელი საზოგადოების თვალში. ეს მოვლენა უფრო მკაფიოთ დაეტყო ჩვენ ცხოვრებას უკანასკნელ წლებში, როგორც ამერეთს, ისე იმერეთს. ინტელიგენციის დაცემას პარალელურათ თან მისდევს თვით საზოგადოების ზნეობრივი დაქვეითება, თუმცა ზოგჯერ ისეთ მოვლენას წააწყდება ჩვენი ცხოვრების მეთვალყურე, რომელიც თითქო მის ზნეობრივ სიმაღლეს ლაღადებს. მართლაც, ჩვენი საზოგადოება, რომელიც ერთი მხრით—რა დავმალოთ?—მეტათ უიდეალოა და ყოველ სისაძაგლეს ითმენს, ვიდრე ეს უკანასკნელი ჩუმათ მის თვალწინ ხდება,—იგივე საზოგადოება საოცარ ზნეობრივ რიგორიზმს იჩენს. თუ ვისმე, პატიოსან მოღვაწეს რომ იტყვიან: „ფეხი გადუბრუნდა“, „სკანდალი“ დაემართა, მაშინ ჩვენში საკვირველი სისწრაფით თავს იჩენს იეზუიტური ლევნა და ყოველი სიტყვა, ნაბიჯი, პოლემიკა ბოროტების მოსასპობათ მიმართული ისპანიის წმინდა ინკვიზიციას მოაგონებს ადამიანს. რო-

მელიც გუშინ პატივცემულ, სანდო და სასარგებლო პირათ ითვლებოდა, დღეს, როგორც კეთროვანს, ერიდებიან და საქოლავს უგებენ. ზოგნი ამას „კრიტიკას" უწოდებენ და დამნაშავის დასჯას. ვინ იტყვის, კრიტიკა ყველგან საჭიროა, მაგრამ კრიტიკას და ინსინუაციას შორის, ცილის წამებას და გულწრფელ, პატიოსან მხილებას შორის მეტათ დიდი მანძილია და ერთმანერთს არა უგავთ-რა. გადაათვალიერეთ ჩვენი პერიოდული გამოცემები და დარწმუნდებით, რომ ჩვენში პრინციპიალური პოლემიკა თითქმის არ არსებობს. თქვენ ვერ შეხვდებით ისეთ კამათს, რომ ადამიანის სახელი, ადამიანის ღირსება არ იბღალებოდეს; ვერ ნახავთ სტატიას, რომ ლიტერატურული წესი და ზრდილობა დაცული იყოს. ყველამ, ვინც ჩვენ საზოგადოებას ცოტათ მაინც იცნობს, კარგათ იცის, თუ რა ადვილათ, რა უბრალო მიზეზის გამო შეიძლება ადამიანმა დაჰკარგოს პატიოსანი სახელი, ის ძვირფასი საუნჯე, რომელიც „სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსა". ჩვენი დრო რაღაც „სპორტის" დროა და რომის იმ ხანას მოგვაგონებს, როდესაც ზნეობრივათ დაცემული ბრბო სისხლის შესაზარ გუბეს ცინიკური ხარხარით შეჰყურებდა. ჩვენში ასეთივე ცინიზმით ვუყურებთ, როდესაც ჩვენ თვალ წინ ადამიანს ზნეობრივათ ჰკლენ, ფეხ ქვეშ თელვენ... „პოლემიკაში". რა ზნეობრივი გავლენა უნდა იქონიოს საზოგადოებაზე ამგვარმა პოლემიკამ, რა აზრი უნდა შეადგინოს მან თვით პოლემისტებზე? ლიტერატურული სჯა და კამათი, რომელსაც მხოლოთ ჭეშმარიტება, სიმართლე და გონებრივი გამოფხიზლება უნდა ჰქონდეს საგნათ, ჩვენში პირადი ქინის მოსაკლავ იარაღათ გაგვიხდია. განა ასეთი მოქმედება სახელს შემატებს ჩვენ ინტელიგენციას? ნუ დაივიწყებთ, რომ პოლემიკის სიფუქსავატე ისე არავისთვის არის ცხადი, როგორც გარეშე მაყურებლისთვის.

ახლა თვალი გადავავლოთ უკანასკნელ „პოლემიკას". რომ აქედანვე თავიდან ავიცილო ყოველივე ეჭვი, ვაცხადებ, რომ დიდი პატივისმცემელი ვარ ბ-ნ ჭავჭავაძისა, პატივსა ვცემ აგრეთვე ბ-ნ გოგებაშვილს, მაგრამ აქედან, ბ ნ გ. წერეთლის „რენეგატობაზე" მეტათ შორსაა. პირიქით, მე სამივეს ერთსა და იმავე გარკვეულ ტენდენციას ვამჩნევ და არსებითათ, პრინციპიალურათ, იმ ძირითადი საგნის შესახებ, რომლის უარყოფა შეიქმნა „რენეგატობათ", მე ვერ ვხედავ მათ შორის განსხვავებას. ჩვენი განვითარების ისტორიაში ვერც ერთის სახელს ვერ ამოშლით, თუ არ გნებავთ განგებ თვალი მოარიდოთ სიმართლეს. ნუ თუ არის ჩვენში ისეთი უმეცარი, რომ ბ-ნ გ. წერეთლის „აშორდიობას" დაიჯერებს?! ან თვით ისინი, ვინც ამას სწამებენ, განა დარწმუნებულნი არიან? აქ ან უკიდურესი გონების სიჩლუნგეა, ან და უკიდურესი ორპირობა. Errare humanumzest, ყველანი ცოდვის შვილები ვართ და შეცდომისაგან არავინ დაზღვეული არ არის. საწყენიც სწორეთ ის არის მთელ ამ ისტორიაში, რომ ყველამ კარგათ იცის, აქ მხოლოთ შეცდომა იყო ბ-ნ გ. წერეთლის მხრივ, ისეთი შეცდომა, რომელსაც არავითარი ზნეობრივი მნიშვნელობა, არავითარი დამახასიათებელი თვისება არა ჰქონდა; რომ ეს იყო მხოლოთ გარეგანი, სიტყვიერი და არა ლოგიკური, ანუ მით უმეტეს ზნეობრივი შეცდომა, ამის დადგენა სრულიად ობიექტიურათ ყველას ადვილათ შეეძლო და ამისთვის საჭირო არ იყო „გულთამხილაობა" და „მისნობა". მე თანახმა ვარ, რომ ის ადგილი, რომელმაც ასეთი ალიაქოთი ასტეხა, სტილის მხრივ უხერხულათ არის გამოთქმული; მე აგრეთვე არ თანავუგრძნობ ბ ნ გ. წერეთლის სომხოფილურ ტენდენციას, მაგრამ ეს მისი რწმენის და გამჭრიახობის, მისი პუბლიცისტური ნიჭის საქმეა; და მგონია, ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ იეზუიტურ ეჭვს და ეკივოკებს... ეჭვის და გუმანის მიტანა სპეციალურ ორგანოებს აქვთ სახელმწიფოებში დავალებული და, არა მგონია, ვისთვისმე სასახელო იყოს ამ ხელობის მითვისება. მე უკეთეს მოგახსენებთ: სწორეთ იმ ეჭვს, რომელიც ასე უმართებულოთ მოახვიეს ბ-ნ გ. წერეთელს, თვით ბ-ნ ი. ჭავჭავაძეს სწამებდენ, რომელმაც მხოლოთ ამ უკანასკნელ ჟამს ცხადათ დაამტკიცა, თუ რამდენათ უსამართლო იყო ის ცილის წამება. ნორმალური შეხედულობა, პსიხოლოგიური კანონი და უბრალო ეთიკა გვეუბნება, რომ ადამიანი დამნაშავე არ არის, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცებულა, ვიდრე დანაშაული არ დაუსაბუთებიათო. ჩვენში სულ სხვა საზომი მოქმედობს: ჩვენ ყოველი ადამიანი a priori გვგონია დამნაშავე, უპატიოსნო, ვიდრე იგი წინააღმდეგს არ დაგვიმტკიცებს; ზოგჯერ კი ამას შემდეგაც.

მინდა ვკითხო ჩვენ მეთაურებს, ნუ თუ ცხადი არ არის მათთვის, რომ დაურიდებელმა ცილის წამებამ, ინსინუაციამ უკვე მაგრა მოიკიდა ჩვენში ფეხი, რომ ჩვენ საზოგადოებაში დამყარდა ისეთი ატმოსფერა, რომელიც ყოველ ცოცხალ ადამიანს შიშის ზარსა სცემს?! ადამიანს ამ ქვეყნათ პატიოსნების უკეთესი, ვგონებ, სხვა არა გააჩნიარა, ის უვლის ამ განძს, ნიავს არ აკარებს, და, აი, უეცრათ გამოხტება ვიღაც ავლანი, ბაშიბუზუკი და შეგილახავს წმინდა გრძნობას, ადამიანობას, ზნეობრივათ დაგკლავს... ნუ თუ ასეთი მდგომარეობა მოსათმენია? აქ მე მარტო ბ-ნი გ. წერეთელი არა მყავს სახეში,

რადგან სრულიადაც არა მგონია, რომ თავის ხანგრძლივ მოღვაწეობაში იგი ამ მხრივ უცოდველი იყოს, მაგრამ განა შესაძრწუნებელი არ არის, რომ ბ-ნ გ. წერეთელს, რომლის მთელმა სიცოცხლემ ჩვენი საზოგადოების თვალწინ გაიარა, „აშორდიობა“ დაწამონ? განა ცოტა ცილი დაწამეს თვით ბ-ნ ი. ჭავჭავაძეს? და მე და ჩემთან ათას სხვას ის გვაწუხებს, რომ თუ ასეთ პირთა პატიოსნება, რომელთ სიცოცხლე და მოღვაწეობა ყველასათვის თვალსაჩინოა, ასე ადვილათ შეილახება, რას უნდა მოელოდეს ჩვენი საზოგადოებისაგან ჩვენი ახალგაზდა, რა მხარს დაუჭერს იგი უკანასკნელს, რა იმედს, ძალას და ენერგიას შემატებს მას, ისეთაც ათასგვარათ შეწუხებულს? თუ კი ერთი უბრალო სიტყვისთვის აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, გ. წერეთელს რენეგატობას დაწამებთ, რის იმედი უნდა ჰქონდეს ახალგაზდას, გამოუცდელს, ჯერეთ უცნობს, უსახელოს? ჭეშმარიტათ დიდი ზნეობრივი ძალა და გამბედაობაა საჭირო, რომ კაცი არ შეკრთეს ასეთ გარემოებაში, რადგან ვერავინ იტყვის, რაც უნდა ფრთხილობდეს, რომ მას ოდესმე უცაბედათ ფეხი არ გადაუბრუნდეს, თუ რასაკვირველია, სიარულს არჩევს და არა კუტივით ერთ ადგილას ჯდომას.

დროა, ბატონებო, დავუფიქრდეთ ამ სენს, თუ არ გვინდა სრულიად დავკარგოთ ის მინიმალური ნდობა, რომელიც შერჩენია ჩვენ საზოგადოებას ინტელიგენციისადმი!

ოდესა. ერთი სტუდენტთაგანი.



ზულუსები (აფრიკის მცხოვრებნი).

# ნავთის სამეფო.

## (მგზავრის წერილები)

## II. *)

ბაქოდან ერთი სტანციის სიშორეზე არის ერთათ სამი ნავთის მომცემი ალაგი: ბალახანი, საბუნჩი და რამანი. მეორე სტანციაზე კი იმყოფება სურახანი. გარდა იმისა რომ ნავთს იძლევა, ეს ალაგი შესანიშნავია მით, რომ აქ არსებობს მრავალი უქრობელი ცეცხლები. საკმარისია გადაჩხრიკო ცოტა მიწა და მოუკიდო წკირას, რომ აღიგზნას ნაზ-ყვითელი ალი. ღამ-ღამით ეს ალქატა ცეცხლები საოცნებო სანახავია. მნახველს აგონებს, საიქიოდან მოვლენილ ნათელ სულებს, უბადებს შიშსა და ცრუ მორწმუნეობას, ჴ აარსებს უმეცართა სულში სარწმუნოებრივ აღტაცებას. მართლაც წინეთ აქ ყოფილან მრავალი ცეცხლ-თაყვანის მცემელნი, ანუ ღებრები. ჰქონებიათ აქვე საკმაოთ ვრცელი ქვითკირის მონასტერი, 24 სენაკით, მკვდრის საწვავ-საკურთხევლით და სალოცავ კოშკებით. ყველა ესენი დღემდე არსებობს, იმყოფება სადგურიდან 50 საჟენზე და მატარებლის გამობრუნებამდე კაცს ადვილათ შეუძლია დაათვალიეროს ეს მოხუცი რუსის შემწეობით, რომელიც მცველობს ახლა იმ მონასტერს. ის ალქატა საოცნებო ცეცხლები დღემდე მოჩანს მონასტრის კოშკების თავებზე და, ვინ იცის, კიდევ რამდენ საუკუნეს იქნებიან ისინი უქრობელათ.

— ნავთის მომცემ ალაგთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია ბალახანი თავისი სივრცით და საწარმოვო შენობებით. [1]) თითქმის ყველგან ამ საწარმოვო ადგილებს ელექტრონით ანათებენ, თანაც აკრძალულია გარეთ თამბაქოს წევა, რადგან ცეცხლის გაჩენის შიში აქვთ. ბალახანაში უმთავრესი მწარმოებელია ნობელი, როტჩილდი, ტაგიევი [2]) და ბენკენდორფი. ამ კაპიტალისტების წარმოების სისტემა და მოქმედებანი ძლიერ წაავავან ერთმანეთს; ამიტომ საკმარისია შევჩერდეთ რომელსამე მათგანზე. მე მომეცა საშუალება და გავიცანი ახლო ბენკენდორფის წარმოება, ჩემი მეგობრის ი. მ—ნის შემწეობით, რომელიც მსახურებს იქ. წარმოიდგინე, მკითხველო,

---

*) იხ. „კვალი“, № 23.

[1]) ნავთის მომცემი ადგილები, ტოტაოდენს გარდა, ყველა სახელმწიფოსა. მწარმოებელთ იჯარით აქვთ ისინი აღებული.

[2]) ტაგიევმა გაჰყიდა ამ მოკლე ხანში თავის წარმოება 5 მილიონ მანეთათ და მიჰყიდა ინგლისელ სტიუარტს და კ-ო.



ნ ა ვ თ ი ს შ ა დ რ ე ვ ა ნ ი.

16—18 ქცევა ალაგი ერთ-ორ-სართულიან ქვიტკირის შენობებ-თ და ხის შავათ-გალიზნულ პირამიდულ 6—7 საჟენიან კოშკებით სავსე, წარმოიდგინე შავათ-გაჟენთილი მიწა. ნავთ-კუპრის ტბები და არხები, წარმოიდგინე მრავალი გადახურული ნავთით სავსე დიდრონი აუზები, ქვები, მილები და სოლინარები, რეზერვუარები, ნავთის დიდრონი პომპები (нефто-качки), ელექტრონს სანათის თეთრ-ბურთიანი სვეტები, წარმოიდგინე ოთხასიოდე შავათ დასვრილი მუშა მანქანათა ხმაურობა, გრუხუნი, ღრიალი, და თქვენ დაგეხატებათ მკრთალი გარეგანი სურათი ბენკენდორფის ნავთის წარმოებისა. ამგვარივე სახე აქვთ ნობელის და სხვების წარმოებათ.

ახლა ვიკითხოთ, რის მაქნისია ის მაღალი ხის პირამიდული კოშკები (вышки)? თითო მათგანი დადგმულია 100—200 საჟენ სიღრმის მქონე ნავთის ჭაზე. კოშკის წვერზე გამაგრებულია რკინის ღარიანი ბორბალი; მაზე გაგდებულია მსხვილი მართული, რომელზედაც აბია გრძელი, 1—4 საჟნიანი რკინის ჭურჭელი, რომლითაც იღებენ ნავთს ჭიდან. მეორე ყური თოკისა ახვევია რეილს და მოძრაობაში მოდის მანქანის შემწეობით. ამ რიგათ ჭურჭელი ჩადის ჭის სიღრმეში, ამოაქვს ნავთი, ძირში გაკეთებულ კლაპანის წყალობით ის ნავთი ისხმება ღარებში და აქედან აუზში. აუზიდან ნავთი მილებით გადააქვთ რეზურვუარებში, აქ წრეტენ წყლიდან, (რადგან ნავთი, როგორც უფრო სუბუქი სითხე, იწევს მაღლა, წყალს კი უშვებენ რეზურვუარის ძირის კრანიდან) და მილებითვე გზავნიან შავ და თეთრ ქალაქების ქარხნებში ბენზინისა და კეროსინის გამოსახდელათ. მთელ ამ წარმოებისთვის სამუშავო ძალას ქმნიან ორთქლიდან, ეგრეთ წოდებულ „კოჩეგარკებში“, და უნაწილებენ ყველგან პაწია სოლინარებით. მთელ ამ წარმოების ფეხზე დაყენებას და მოწყობას დიდ კაპიტალს გარდა დაჭირდებოდა დიდი ცოდნაც. მართლაც აქ ბევრი ინჟინრებია, ტეხნიკები, მეხანიკები და სპეციალური ცოდნის მქონენი არიან, რომლებიც მოღვაწეობენ კაპიტალისტებისათვის, თუმცა იღებენ საკმაო სასყიდელს. სამაგიეროთ, რამდენათ შევნიშნე, მეტათ მძიმე და არა სანატრელია აქ მუშათა მდგომარეობა. მთელი ბაქოს ნავთის წარმოება გვისახავს ერთი მხრით კაპიტალისტთა და სპეციალისტთა მცირე რიცხვს და მის გვერდით ათიათასობით საბრალო მუშათ, რომელთაც აწევთ ზურგ-

ხე მთელი ნავთის წარმოება. და რომელთა ფიზიკურ ძალით შექმნილა და მოქმედობს იგი. აი, ეს აუარება ხალხი შრომობს დღე და ღამ 10—11 საათს დღეში ამ საზიზღარ ჯოჯოხეთში, ამ მოწამლულ სფერაში და იღებს მხოლოთ სამ აბაზიდან მანეთამდე; მთელ მათ შრომას კი ნთქავენ კაპიტალისტები. საჭიროა, მთავრობამ და პრესსამ მიაქციონ სერიოზული ყურადღება ამ ანორმალურ მოვლენას და ეცადონ მუშათა ხვედრის გაუმჯობესობას.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი ფრიათ სასიამოვნო ფაქტი: ამ ბოლო დროს ემჩნევა ბაქოსაკენ ნასწავლ ქართველთა ლტოლვილება. ბევრი მათგანი შესულა უკვე სამსახურში და მოუპოვებია იქაურ საზოგადოებაში საპატიო ალაგი. ზოგი არც ამით დაჯერებულა. როგორც შევიტყე, რამდენსამე ქართველ ინჟინერ-ტეხნოლოგებს განუზრახავთ აიღონ იჯარით ნავთის მომცემი ადგილები, გამართონ ქარხნები და იქონიონ თავიანთი საკუთარი საერთო წარმოება. ღმერთმა ინებოს გამართლებულიყოს ეს ხმები და აწი მაინც გაგვეღვიძოს ქართველთ ძილისაგან! კიდევ უფრო სასიამოვნო ის გახლავთ, რომ აქაური ქართველნი არამც თუ არ ივიწყებენ, რომ ისინი არიან ქართველნი, არამედ გულმოდგინეთ ცდილობენ დაამტკიცონ საქმით თავიანთი მამულიშვილობა, მართავენ სხვა-და-სხვა ქართულ საღამოებს, ხელთ-მოწერას და სხვ., აგროვებენ ბლომათ ფულებს და გზავნიან თფილისსა და ქუთაისში ჩვენ საზოგადო საქმეთათვის. ამას წინეთაც მოეგროვებინათ 2000 მანეთამდე და გამოეგზავნათ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“, ქუთაისის სავაჭრო სკოლისათვის და სხვ. ამ რიგათ ეს ღრმათ პატრიოტული ქართველნი ძლიერ განირჩევიან ჩვენ ზოგიერთ თფილის-ქუთათურ „ჩინოვნიკთაგან“ და ახალ-მოდის მოაზრეთაგან. სასიამოთ ჩვენდა, რამდენათ უფრო ფხიზლობენ თითო მუჭა ქართველნი ბაქოში, განჯაში, ბათუმში, კავკავში, სტამბოლში და ასე გასინჯე ციმბირშიაც კი, იმდენათ უფრო, სამწუხაროთ ჩვენდა, თფილელ ქუთაისელი ნასწავლი ქართველნი, ორიოდეს გარდა, გაყინულან გონება-ზნეობის სიზანტის მორევში.

და ბოლოს არ შემიძლია არ ვაუწყო მკითხველს ცოტა რამ იმ საშინელ ცეცხლზე, რომელიც ჩემ დროს ეგზნებოდა როტშილდის ნავთის შადრევანს ზღვის პირათ ბიბიეიბათში (ბაქოდან ორი ვერს-ს სიშორეზე). კარგა ხანია, რაც დაღამდა, შავ ღრუბელთ მოუცავთ ცის კამარა; თქარავს ნელ ნელა. მაგრამ რას გაუფანტავს სიბნელე? რას აუწითლებია, ნეტა, ირგვლივ ცა, ზღვა და დედამიწა რა-



ჩვეულებრივი სადღესასწაულო ცეკვა აბაშელი ღვდლებისა საყდრის წინ.

ლაც ფანტასტიურ ფეროვნებით? საიდან მოისმის ეს საშინელი გუგუნი? ესაა ცეცხლ-აგზნებული ნავთის დიდი შადრევანი, რომელიც ისვრის 800-ათას ფუთ ნავთს დღე-ღამეში. იწვის ეს ამოდენა ნავთი და მისი მაღალი ბრიალა სვეტი ანათებს და მოჩანს 20—30 ვერსის სიშორეზე. ჩავჯექით ეტლში მე და ჩემი მეგობარი და გავქანდით იმ საოცნებო შადრევანის სანახავათ. აი, მივუახლოვდით კიდეც; სინათლე, მხურვალება და საოცარი გუგუნი იპყრობს ჩვენს არსებას. მივედით კიდეც და... ოჰ, საოცრებავ! ჩვენ წინ აიმართა მსხვილი და თითქმის ღრუბლამდე აწვდილი ვოლკანის მსგავსი ცეცხლის სვეტი, რომელიც თითქოს სულთქვამს საზარლათ, ჰქრება წვერში, ქმნის საშინელ ბოლს და შავ-ნისლათ ახვევს ცას. ბევრი რამ წამიკითხავს და მსმენია ცეცხლის მთათა ამოხეთქაზე და ვოლკანებზე, მათ გამანადგურებელ საშიშარ ძალაზე, მაგრამ ამ ცეცხლ-აგზნებულ შადრევანს კი ჰქონდა რაღაც თავისებური, საშიში სიმძლავრე და სიდიადე. აქ თითქოს დედამიწის გულიდან ამოჰქუხდა საოცარი სისწრაფით 40—50 საჟენის სიმაღლეზე გაშმაგებული ლურჯ-თეთრ-ყვითელი ცეცხლის გრიგალი, მირბოდა ზეცას, აზანზარებდა მიწას, ადუმებდა ზღვას, ღებავდა მიდამოს წითელი ფერადებით, გრგვინავდა, წყრებოდა და ემუქროდა მთელ ქვეყანას. ვიდექ ამ სტიქიონს წინაშე ადამიანი, ტყუილი მეუფე ბუნებისა და მწვავეთ ვგრძნობდი სიძაბუნეს, სისუსტეს, არარაობას. არ ვიცოდი, როდის გახეთქდა ეს ცეცხლი დედამიწის კანს და ჩანთქავდა ზღვას, მთებს, ქალაქს და ადამიანთ, მათი ბოროტი გულით და ამაოებით. დიდხანს, დიდხანს ვიდექ ღრმათ გატაცებული ამ დიდებული სურათით, ვღელავდი, ვწუხდი და ვუგალობდი ჰიმნს ბუნების მიუწდომელ ძალებს. აი, მკრთალი სურათი იმ ცეცხლის გარე სახისა, იმ ალის სიდიადისა:

მკერდი გამსკდარა მიწისა,
ამოჰქუხს ცეცხლის გრიგალი,
ღრუბლებსა ღებავს და აკრთობს
მის ელვარება-ზრიალი.
შადრევნობს ცეცხლი, შადრევნობს,
ცას კოცნის ალის ჩანჩქერი,
ქშინავს მძვინვარებს ვით ლომი,
ვით მთით გარდნილი ნამქერი.
ზვირთი-ზვირთს ხვდება ალისა,
შმაგივით გაანჩხლებული,
იბრძვიან ვით ბუმბერაზნი,
ომი აქვთ გამუდმებული.
მოჰქრიან ცეცხლის ბურთები,
თეთრ-ლურჯათ ინათებიან,
გარბიან ზეცას ტრიალით,
სივრცეში სწრაფათ ჰქრებიან,
კვლავ ერთის ნაცვლათ იმ წამსვე
ათასნი იბადებიან,
ისევ შავ-ნისლათ ქცეული
მსოფლიოს ებურებიან...
ბუჰ... გრრუუ... შორიდან
გაისმის შმაგი გრიალი,
მგერს გული დედამიწასა,
—როდის დაცხრება ტიალი!
ზანზარებს მთები, ზანზარებს,
ზღვას აცახცახებს შიშია,
ხან განაბული შეცქერის,
ხან კი გაქცევის ფიქრშია.
მოწითლო ფერადოვნებით
მთლათ მოკაზმულა ბუნება,
სინათლე ღამის სიბნელეს
რა ტრფობით ელამუნება!
მაგრამ არ წყდება საზარო
ქშინვა, სრბოლა და გრიალი;
ზვირთაობს გაბრაზებული
ცეცხლის ლუმბრა და გრიგალი,
თითქოს სწადს მოსპოს ქვეყანა
ცოდვებით გაარმებული,
თითქოს სურს დაწვას ქალაქი,
ნავთზედან აშენებული;
მუშათა სისხლით მაძღარი,
მუშებით გალაღებული...

ს. ქ—ნი.

## ფ ო თ ო ლ ი.

ამ ამინდმა მთელი ჩემის ცხოვრების სურათი გადამიშალა თვალ-წინ! რანაირათ წარმოვიდგენდი, რომ დღევანდელს დილას ამგვარი შუადღე მოჰყვებოდა?! შვენივრათ მოკრიალებულს ცის კამარას კისკას-ცქრიალით შეტყორცა მზემ სხივთა ისრები და ნიანგივით გაასრიალა ლურჯათ და თეთრათ გადაპენტილ ღრუბელთა გულ-მკერდში, რომ ოქროს ვარაყით აეპრიალებინა დედამიწის სარქველი. გათენდა... ბუნებამ წკაპურტი ჰკრა სასიცო-

ცხლო ეჟვანს, ქვეყანა სამეჯლისო ფერხულში ჩაება და... ასე უეცრათ კი შეიცვალა ყველაფერი... განა ჩემი სიყმაწვილეც ასე ერთწუთიერი არ იყო?!. ჰმ! რანაირათ შევტრფოდი ჩემი ცხოვრების განთიადს!.. დილის რიჟრაჟი ოდნავ ეპარებოდა ჩემ საკუთარ ცას, რომ მე დავინახე კიდეცა მოკეკლუცე მაისის დილა, დიდებული მზის სხივებით გაბრწყინვებული, და შევნივრათ გადაშლილი წალკოტი, რომელიც საკუთრათ ჩემთვის დაეშვენებინა ბრძენთა ბრძენს ბუნებას...

გახსოვს... ძალიან კარგათ გახსოვს... ფეხი შევდგი თუ არა საჩემო ედემში, ერთმა კუთხემ მეორეს გასძახა: „ნეტარება“-ო და ამ დროს სირინოზის ხმით ამღერდა მთელი არე-მარე... რანაირათ ამიჟღურტულდენ ვარდ-ყვავილები და რანაირი კრძალვით მიკმიეს საამო სუნნელება!.. რა სანეტარო იყო ჩემსთვის ის წამი, როდესაც ალმოსავლეთმა ტალ-კვესი გაჰკრა და მეც ღიმილით ავხედე მას... მე და განთიადმა ცელქურათ გავუღიმეთ ერთმანეთს. და ხელი-ხელს ჩაკიდებულები გავეშურეთ ნეტარებისაკენ... მაგრამ არა... ის თავისებურის წეს-რიგით მისრიალებდა ლაჟვარდ ციაგისაკენ, ხოლო მე კი, ჩემდა სადიდებლათ ნამსხვერპლებ გუნდრუკის კვამლში გახვეული, მედიდურათ მივცურავდი დაუსრულებელს სივრცეში... ამ დროს ლაჟვარდოვანს ცას შავი სუდარა გადაეკრა, შურდულივით გამიქროლა გრიგალმა, თითისტარივით შემატრიალა და ყველაფერი, ყველაფერი შემომაცალა ისე. როგორც ამ ხეს...

რა საშიშარი სურათი დავინახე, როცა რეტდასხმული დავვარდი მიწაზე!!!... ალარც საჩემო ედემი, ალარც სირინოზის ხმით აჟღერებული არე-მარე და არც მორცხვათ მომღიმარე რიჟრაჟი,—არც ერთი ალარ აშვენებდენ ჩემს განთიადს... სამყაროს ოთხივე კუთხე გულის შემზარავ ჯანღით იყო მოცული და ამ უკუნეთათ ქცეულს არე-მარეში საშინელი ზუზუნ-წივილით დანავარდობდა გააფთრებული გრიგალი... მე კი ვეგდე მარტოთ-მარტო ამ გავერანებულ მინდორში და ერთი საათის წინათ ნეტარებით ალვსილ გულში ჯოჯოხეთის გენია მიტრიალებდა... რა ნაირათ მენატრებოდა სიბრმავე!.. მაგრამ უფრო გარკვევით ვხედავდი ყველაფერს... სამხიარულო მოჩვენებიდან მხოლოთ სამწუხარო სინამდვილე-ღა შემრჩა ხელში... ფუჰ!!! —წამოიძახა ამ მოგონებით გაშფოთებულმა მარომ და მიადგა ფანჯარას, რომელსაც შემოდგომის ქარი საშინელი ზარითა და ღრიალით ეკვეთებოდა. სახლის კედლებს საოცარი ზანზარი გაჰქონდათ; თუნუქის სახურავი დაჭრილი მხეცივით გაჰბღოუოდა, თითქოს ბანს ეუბნება ქარის ზუზუნ-წივილსაო. გარედან ისეთი ლაწალუწი ისმოდა, კაცს ეგონებოდა: ეს არის, მტვრათ იქცევა ყველაფერიო. ჰაერში თოვლის ნაფლეთებივით ფრიალებდენ ერთმანეთში არეული სილა, მტვერი, ფოთლები, ქაღალდის ნაკუწები და ათასი სხვა რამ. აჰა, ერთი საშინლათ წამოუქროლა გრიგალმა და ნამქერივით წალმა-უკულმა დაატრიალა თვისგან ნაძარცვ-ნაალაფევის კორიანტელი.

„საწყალი ეს ხეები! რანაირათ იზნიქებიან, თითქო თაყვანის ცემით ევედრებიან გრიგალს—ღვთის გულისათვის, შეგვიბრალე სულ ნუ შემოგვაცლი უიმისოთაც გახუნებულ სამოსელსაო. რანაირათ მიალეწ-მოალეწა, ტოტები ამ შეჩვენებულმა!.. აი, შენს ამინდობასაც კი რა ვუთხრა... ეჰ!.. გაზაფხულდება და ეს ხეები ისევ მწვანე სამოსლით შეიმოსებიან. რა საცოდავი იქნებოდენ, რომ ესენიც ისე ალარ მოელოდენ გაზაფხულს, როგორც მე არ მოველი... ჯერ შუადღეც არ არის და ასე მგონია დაღამდა. განკითხვის დღე ხომ არ უდგება ქვეყანას! ხალხიც შეთხელდა ქუჩაზე... საწყალი ეს დედაკაცი,—ლამის თავის კალათიანათ ცხრა მთას იქით გადააფარფატოს ქარმა. კი არ მიდის, მიფრინავს... ვაი ჩვენი ბრალი! იქნება ეგეც ლამაზი იყო, მაგასაც ეალერსებოდა ვინმე? რატომაც არა. ეგეც ხომ, ჩემსავით, ყმაწვილი იქნებოდა, ჩემსავით შეჰხაროდა ყველაფერს... კიდევ და კიდევ, რა წყეული დღეა. ჰმ, რაა ჩვენი ცხოვრება? ან და, რა არის მთელი ქვეყნიერება?..—ბურთი, ბუნების სათამაშო ბურთი. სურს ააკეკლუცებს, ბრჭყვიალა სამოსლით მორთავს და სურს—გაძარცვნის, გაანადგურებს. ბუნებაზე უფრო უსირცხვილო მომცემ-წამრთმევი იქნება კიდევ რამ... აგერ თუნდა მე... მაგრამ, რა მე? აი, თუნდა ეს ხეები დილას რა იყვენ და ახლა რას დაემზგავსენ; ფიჩხები, მხოლოთ გამხმარი ფიჩხები-ღა არიან. მეც ხომ ასევარ. სრულიადაც არა... ჩემ გამხმარ ტოტებს კიდევ შერჩენია ერთი ფოთოლი! მერე, ეს ფოთოლიც რომ მომაგლიჯოს გრიგალმა!! ოჰ! ღმერთმა ნუ ჰქნას. არა, ალარ შევხედავ ამ ხეებს. არ მინდა ვუმზირო გააფთრებულ ბუნების სისასტიკეს. უჰ, მეშინია“—წამოილაპარაკა მარომ და საშინლათ ათრთოლებული დაეცა ლოგინზე და თითქო მართლაც საშიშარს რასმე ჰხედავსო, დახუჭა თვალები, რომ ალარაფერი დაენახა, მაგრამ უფრო ბევრ რამეს ხედავდა იგი...

## II.

„არა, არა, სხვა გზით წავალ“—გაიფიქრა კოტემ და მართლაც სხვა გზით წასვლა დააპირა, მაგრამ ფეხის გადადგმა გაუძნელდა.

„ხომ არ გავგიჟდი, იქნება ყველაფერი სიზმარია, იქნება, ორი წლის წინათ კი არა, გუშინ მო-

ხდა ყველაფერი!.. მაშ ეს რა არის,—იმავ ხეზე იგივე ფოთოლი!.. ტოტიც, ტოტიც კი იგივეა!!!“ კოტემ ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი გადიწმინდა შუბლზე, მაგრამ ახლათ აღძრული ეჭვი უეცრათ გაეფანტა ცხვირსახოცის ამოღების დროს. კოტეს თვალწინ გაიბრჭყვიალა მარჯვენა ხელის თითზე გაკეთებულმა ნიშნის ბეჭედმა და ყმაწვილი კაცი, თითქოს მწვავე ტკივილს გრძნობსო, შეჰკრთა... „რასაკვირველია, ეს ამ ორის წლის წინათ იყო“,—გაიფიქრა კოტემ—ახლა კი სულ სხვაა ჩემი გულის მეფე, რომელსაც ერთ კვირას შემდეგ საუკუნო კავშირით შევუერთდები“.

კოტემ ცოტა გაიარა. მან წარმოიდგინა თავისი გულის მეფე—ანეტა, მოინდომა ოცნების ფრთებით გადაფრენა იმასთან, მაგრამ იმედი გაუცრუვდა... იგი სულ სხვა ადგილზე ჩამოეშვა, და ეს ადგილიც ხომ უცხო არ იყო იმისთვის. ანეტას ხატება რაღაც ძალამ მოჰგლიჯა ყმაწვილი კაცის გულს და ეს მოღალატე საქმრო სრულიად დაუკითხავათ და თამამათ წარდგა მაროს წინაშე... იმას ისე ნამდვილათ წარმოუდგა მაროსთან გაელილი წამები, რომ თითქოს ყველაფერს ხედავდა, გრძნობდა, ისმენდა... აგერ მოეჩვენა თავისი მაროც: მან გაბრწყინვალებული სახით შეჰხედა კოტეს და ჩვეულებრივი, ალერსიანი ხმით უთხრა:

—ერთი წუთიც რომ კიდევ დაგვიანებოდა, გავგიჟდებოდი, ჩემო იმედო, ჩემო ნეტარებავ,—შესძახა ახლათ შესულს კოტეს და გაექანა იმისაკენ.

—რატომ, რატომ, შენი ჭირიმე—უპასუხა კოტემ და თითონაც შემოეჭდო თავისს მაროს.

—რატომ და... რომ იცოდე, ჩემო კოტე, დღეს იმდენი ვიტირე, იმდენი, იმდენი, რომ...—აღარ დაასრულა მარომ.

—დაიწყე ძველებური?

—არა, ძველებური კი არა... მაგრამ, მოიცა, დავსხდეთ და გიამბობ... ხომ იცი, როგორი ამინდი იყო დღეს...

—საძაგელი! რამდენჯერ მოვინდომე წამოსვლა, მაგრამ ვერ გამოვბედე. მთელი ჩვენი უბანი მილეწილ-მოლეწილია. შენც, ალბათ, გეშინოდა, არსად გადავეგდე ქარს,—არა?

—ეგეც კი იყო, მაგრამ სხვა...

—რა, რა სხვა, შე კუდიანო?

—ჯერ დამიფიცე, ჩემო კოტე, რომ ვერ-ვინ შენ თავს ვერ განმაშორებს. დამიფიცე და მერე გეტყვი.

კოტემ გულწრფელათ შეჰფიცა სამუდამო სიყვარული და თანაც გაოცებული დააშტერდა მაროს ცრემლით სავსე თვალებს.

—კოტე, აბა, შეხედე ამ ხეს! სულ შემოაცალა გრიგალმა ფოთლები და, საწყალს, მხოლოთ ერთი ფოთოლი-ღა შერჩენია.. ხომ დაინახე, აი, მარცხნივ, პატარა ტოტზე როგორ ობლათ არის ერთი ფოთოლი! როცა ქარი დადგა და ეს ერთი ფოთოლი კიდევ შერჩენილი ვნახე ამ ხეზე, ისე გამეხარდა, რომ... მაგრამ გული მისკდებოდა,—კიდევ არ ამოვარდეს ის წყეული გრიგალი და ეს ერთი ფოთოლიც სხვების კვალს არ გაუყენოს-მეთქი, ძალიან, ძალიან მეშინოდა...

—მერე შენ რა? რატომ გეშინოდა?

—იმ ხეთ ჩემი თავი წარმოვიდგინე და...

—რა „და“! თქვი, შე მოუსვენარო,—უთხრა კოტემ და თანაც ჩაჰკოცნა თავისი ცმუტურა მარო.

—ფოთოლათ შენ... ხომ არ მიჯავრდები?

—აი, შენ, შენ, რა მოუსვენარი ხარ! მერე ამ ხეს კიდეც რომ მოჰგლეჯოდა ფოთოლი, განა ის უნდა გეფიქრა, რომ ჩემს თავსაც მოგაშორებდა რამე?—რას ან ვის შეუძლია, რომ სიცოცხლით გაგვყაროს, წაჩურჩულა კოტემ და მხურვალე გრძნობით ჩაიკრა გულში.

მაროც სუროსავით შემოეჭდო ყელზე და თავის გაზეპირებული ორი სიტყვით გამოუცხადა განუსაზღვრელი სიყვარული.

—კიდევ, კიდევ განიმეორე,—უთხრა კოტემ და აღგზნებულის თვალებით შეაჩერდა ახალგაზდა ქალს.

—ჩემო, ჩემო,—წყნარათ ჩაილაპარაკა მარომ და კოტეს კალთაში დაჰმალა თავისი სახე.—ხომ ჩემი ხარ—ჰკითხა მარომ და ეშმაკურათ ამოჰხედა კოტეს.

—მაშ, მაშ ვისი ვარ, შენ გენაცვალე—უთხრა კოტემ და თანაც სათქმელათ მომზადებული სიტყვა ტუჩებიდან მოწყვიტა მაროს...

„ჩემო, ჩემო!“—ისე ზარის ხმასავით გაისმა კოტეს ყურებში ეს ორი სიტყვა, თითქო მართლა ელაპარაკება ვინმეო. მუშტაიდის კარებთან მისული კაცი საშინლათ შეჰკრთა, და თვალები დაალეცა,—საიდან მომესმა ეს ხმაო.

კვირა სალამო იყო და მუშტაიდის კარებთან ბუზივით ირყვოდა შემსვლელ-გამომსვლელი ხალხი. ფიქრით გატაცებული კოტე იდგა, ვეღარც ბაღში შესვლას ახერხებდა და ვერც უკან დაბრუნებას. იმისი თვალები ახლა ვეღარავის ხედავდენ, არავისი ხმა არ ესმოდა, გარდა ერთისა და იმის სიტყვებისა!

„ჩემო, ჩემო!“ კიდევ ჩასძახა ვიღაცამ კოტეს... ამ დროს ყმაწვილკაცს მართლა მაროს გვერდით ეგონა თავის თავი...

—რას გაჩერებულხარ, კოტე, წამო, ბაღში შევიდეთ.—უთხრა სოსიკომ და თანაც თვალები შეაშტერა იმის გადაფითრებულ სახეს.

—არა, არ მინდა... შეუძლოთ ვარ, —ძლივს უპასუხა ოცნებიდან გამორკვეულმა კოტემ.

—მართლაც, ცუდი ფერი გადევს, რა მოგივიდა?—გულ-მტკივნეულათ შეეკითხა კოტეს თავისი ბიძაშვილი და უფრო ახლოს დადგა მასთან.

—საშინლათ შემეშინდა... უშველებელი დიდი გველი გამოსრიალდა, აი, აქედან და იმან შემაშინა, —ხმის კანკალით უთხრა კოტემ და ხელი გაიშვირა მარცხენა მხარეს.

—რა ვაჟკაცი ხარ! ბიჭო, ლომის დანახვამ არ უნდა შეგაშინოს, თორემ გველი?.. აბა, გველი რა არის, რომ შენოდენა კაცი იმან შეაშინოს, ისიც კიდევ აქ, სადაც ჯინჭველებივით ირევიან. წამო, ნუ გეშინია, საცოლოსთან არ გაგამხელ შენს გულადობას,—სიცილით დაუმატა სოსიკომ და ხელი წაავლო კოტეს, მაგრამ ყმაწვილი კაცი არ წაჰყვა.

—არა, სოსიკო, მე ცოტას გავივლი, შენ კი შედი ბაღში და მომიცადე... მალე მოვალ.. არ მინდა ჯერ ბაღში შესვლა.

—შენი ნებაა, არც მაგაზე გაწყენინებ, მხოლოთ ჩქარა კი მოდი, ჰა!— უთხრა სოსიკომ და გასწია.

„დაე, ქვეყნისგან ყბად-ასალები გავხდე... მეტი აღარ შემიძლიან“...—გაიფიქრა კოტემ და რეტდასხმული გაჰქანდა მაროს სახლისაკენ.

ორი წელიწადია, რაც ამ სახლის კიბეს კოტეს ფეხი არ მიჰკარებია.—„ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რა ცვლილება მოხდა ამ სახლში, ვინ იცის, რისი მოწმეა ეს კედლები“... გაიფიქრა კოტემ და მთრთოლვარე თითი მიადვა ზარის ფოლაქს... „მხოლოთ ცრემლების და შენის ხსოვნისა“-ო ჩასძახა ყურში იდუმალმა ხმამ გულ-გაშფოთებულ ყმაწვილს.

ტალანში ვილაცის ფეხის ხმა გაისმა... კოტეს ისე აუძგერდა გული, თითქოს ბუდიდან გადმოვარდნა აპირებსო... აგერ, ვილაც კიდეც მოადგა კარებს, რაღაცამ ჩხარუნი მოადინა... კარი გაიღო და ორი ხმა განწირული კილოთი შეუერთდა ერთმანეთს.

—კოტე!

—მარო...

განდეგილი.

# გაკვრით.

## (გზა-და-გზა)

თფილისიდან ბაქომდე.—ბაქო.—რამდენიმე დღე ბაქოში—ბაქოდან ლენქორანამდე.—გემით მოგზაურობა.—ლენქორანი.—მისი ადგილ მდებარეობა.—ბუნება.—ჭავა.—მცხოვრებთა რაოდენობა.—მკვიდრთა ცხოვრების სახსარი.—ლენქორანის ქართველობა.—მეორე ციმბირი.—ლენქორანის ცხელი წყლები.—მათი მომავალი.—საერთო დაუდევრობა.—

III *)

პირველათ და ძალა-უნებურათ გავიფიქრე: „რაა ერთეული, მარტო, გაცალკევებული კაცი ამ გაავზნეევბულ ცხოვრებასთან შედარებით-მეთქი?.. ერთს უმეოროთ სიცოცხლე არ შეუძლია, ერთი უმეოროთ, უთვის-ტომოთ, დღე მოკლე ბალახია, გზა-აბნეული, სამგლოთ დატოვებული ცხვარია“!... აქ გამახსენდა მეგობრები, ნაცნობები, ნათესავები, მშობლები, ჩემი თვისი და ტომი, გამახსენდა სამშობლო და მისი მცხოვრებლები, ჩვენი, კერძოთ ქართველების, ცხოვრება, მისი კარგი და ავი! ღვთის წინაშე გავიხსენე კიდევ საზოგადოთ „კაცობრიობის ცხოვრება“. მაგრამ ასეთი უზარ-მაზარი, ასეთი მიუწვდომელი მეჩვენა „კაცობრიობა“, რომ ან კი როგორ შემეძლო გამეწვდინა ჩემი ვიწრო გულისთქმა, ჩემი სუსტი გონება მისდა სასამსახუროთ... „კაცობრიობისათვის“ სამსახური ჩვენებურ „დონკიხოტ-„კოსმოპოლიტებისათვის“ მიმინდვია. მე კი მარტო შენთანა მაქვს საქმე, ჩემო ქართველო მკითხველო, შენი ჭირი მაწუხებს და შენი ლხინი მალხინებს. ხოლო თუ მე და შენ კაცურკაცობას შევეჩვევით, მაშინ ყველა კეთილის მათაყვანებელი ვიქნებით და ბედნიერებაც ეს არის. თუ კი ჩვენი ერი კეთილ-დღეობაში იქნება და განათლებულ ქვეყნებს ბანს მისცემს, დეე, რამდენიც უნდა, იქსმა (X) იგრეკს (Y) უკიჟინოს: „რასა ცოდვილობ, შე საპყარო, ჩვენის შემაერთებელის „პლიუსისათვისა (+), ჩვენ პლიუსს კი არა, „კაცობრიობას“ უნდა ვემსახუროთო. მერწმუნეთ ეს მარტო იქ-

*) იხ. „კვალი“, № 23.

სის ფორიაქობაა, რადგან იქსის ძალ-ღონე, მეტადრე ჩვენებურისა, „კაცობრიობას“ ვერ გაწვდება და ისე ჩაკვდება თავის დონკიხოტობაში, რომ ერთ წამსაც „ვერ შედგეს ტროფობის მთაზედა“. ხოლო საწყალი იგრეკი კი ისევ კუზიანი დარჩება, თუ, ვინიცობაა, მთლათ არ წარიხოცა დედამიწის პირისაგან. დიახ, ჩემო მკითხველო, ნახტომით კაცი საქმეს ვერ გააკეთებს, და თუ ჩვენი თავი არა გვაქვს გაწაფული, სხვას ვერაფერს მოვუმატებთ და ტყუილათ მეტი, გადასაგდები ბარგი გავუხდებით. აი, ამ რწმენისა რომ გახლავარ და ამასთანავე არც ისეთი გულ-კეთილი, რომ ჩემსა და შენს მტარვალს არ გავუმკლავდე, ბოლმით ამევსო გული ჩვენი ცხოვრების მოგონებაზე და ბრაზ მორეულმა წამოვიძახე: „შენც იცოცხლე და მეც მაცოხლე მეთქი, ვერაგო ადამიანო!..“ მაგრამ განა მითი ხელმძვანელობს ვინმე?!..

მართალია, თითოეული ერი მოიმკის იმას, რაც დაუთესია და თითოეული კაცი სიბერის დროს დატკბება იმითი, რაც სიჭაბუკეში მოუჰვეჭნია, მაგრამ განა შეცდომის გასწორება კი აღარ იქნება? თუ კი მიხვდი შენ სუსტ მხარეს და მთელი შენი არსებით ეწინააღმდეგე, განა მისი გამოკეთება არ შეიძლება? შეიძლება! . და ამ შეძლებას შემდეგ უფრო ამაყათ გრძნობს კაცი თავსა, გრძნობს, რომ წაწყმედილი ცხონდა და ახალი ცხოვრებისათვის ცრემლით განბანა სავალი გზა!

აბა, ახლა დავუკვირდეთ ჩვენ აწმყოს. ვასწორებთ თუ არა ჩვენთა ძველთა შეცდომებს, ვცდილობთ თუ არა შეერთებული ძალით ჩვენი წინმსვლელობისათვის, ვზრუნავთ თუ არა იმისთვის, რომ ჩვენი თანამოძმის ცხოვრება გაუმჯობესდეს, ან გავაგებინოთ სხვასა, „რანი ვართ და რა გვქვიან ამ სოფელში?..“ მაპატიეე, ჩემო მკითხველო, თუ რომ თამამათ მოგახსენებ, რომ იმ დროს, როდესაც ყველა თავის თავზე ჰფიქრობს, ყველას უნდა „სიცოცხლე სახელოვანი“, ჩვენ გულ-გრილათ ვუცქერით დროთა სვლას და მეოცე საუკუნეს „ანა-ბანით ვეგებებით“.

მართალია ბევრია, ძლიერ ბევრია ჩვენში „მაღლა მყვირალი და ლიბერალი“, რომელთა მჭევრმეტყველობას საზღვარი არა აქვს და რომელთა „პატრიოტობას“, ლამაზ-ლამაზი სიტყვებით მოქარგულს და გულში ხელის ცემით და შუბლის შეჭმუხვნით ამოთქმულს არც დასაწყისი უჩანს და თითქოს არც დასასრული... ბევრია ჩვენში იქამდის დამჟავებულიც კი, ვისაც სიტყვით „ლობიო“ ურჩევნია ევროპიულ საჭმელებს და „ქალამნები“-„პრაკუნა წაღებს“, მაგრამ ყველა ეს მხოლოთ ვითომ და გვირჩევნია. საქმით კი სულ სხვანი ვართ! შური, მტრობა, ღალატი, მლიქვნელობა, სხვის დამცირება, ადამიანის კეთილის ნაშრომისა და ნაფიქრის უარის-ყოფა და სხვა ამგვარები.. აი, რას ვხედავთ დღეს ჩვენ ცხოვრებაში! ვისაც მართლა აზროვნება არ გათახსირებია და ვინც თავის თავს არ ატყუებს, ვინც კი ცხოვრების სიდუხჭირეს სრულებით არ ჩაუკლავს და თანამედროვე „კრეჭითა და ეჭვით“ აღსავსე ცხოვრებისაგან თვალ-ნაკრავი არ არის, ის უეჭველათ დამეთანხმება, რომ ჩვენ, ქართველებს, ჯერ რიგიანი მოქალაქეობა არ გვეტყობა. მაშასადამე ჩვენი გარეწრული ფართი-ფურთობა შედარებით უნაყოფო და უსულ-გულო ყოფილა. ნურაფერს ვიტყვით ხალხის უმრავლესობაზე, რომელიც ჩვენგან სრულიად დავიწყებულია და რომელთაც ჩვენც ისე ვკრეჭავთ და ვაძინებთ, როგორც სურთ ჩვენ მტრებსა. თვალი გადავავლოთ ჩვენ მოწინავეთ, რომლებიც ახალთაობის მასწავლებლები უნდა იყონ. სამწუხაროთ, ან კი რა დიდი ლარი და ხაზი უნდა იმათ მოქმედების აწონ-დაწონასა? ვის არ აღელვებს, მაგალითათ, ჩვენთა მოწინავეთა „წეწვა-ფხრეწა“, ვის არ აღელვებს ჩვენი ჟურნალ-გაზეთების წერის კილო, ვის არ ეხატება ჩვენი დაუდევრობის მსხვერპლნი, ვინ არ იმკის „ჩვენთ ძველთა“ ნათესსა? ვინ არა ხედავს დაშინებულ და დალაჩრებულ მშობელ-ნათესავთა ხელების სავსავს და მოკრძალებით წარმოთქმულ „სუსს!“ რომელ „საზოგადოებას“ მოუკიდნია ჩვენში ფეხი, რომელი კრება დაშლილა ისე, რომ, თუ მუშტის კრივი არა, უშვერი სიტყვების სროლა მაინც არ ამტყდარიყოს! ეს ხომ ასეა! მაგრამ, აბა, ახლა კენჭი ჩამოვუტაროთ და ვიკითხოთ, ვინ უფრო დიდი მოსაქმეა ჩვენში? დაგარწმუნებთ, რომ ერთი უშველებელი „მეე!“ წამოიჭიმება, იმიტომ, რომ ყველა თავის თავს თვლის პირველათ და უკანასკნელი კი ვინ არის ჩვენში, ამას ალლაჰიც ვეღარ გაარჩევს!.. დიახ, ყველანი ეპირველობთ და პირველობის ღირსებანი კი გვავიწყდება. გვავიწყდება, რომ ერთი კაცი ვერაფერს გააკეთებს უმეოროთ და თუ რამე გაკეთებულა, ეს ერთის ნამოქმედარი, ამის თვით-მპყრობელობის, შემოქმედობის ნაყოფი კი არ არის, არამედ ბევრეულისა, და ბევრეულის ნაყოფიერებისათვის საჭირო [illegible]ობა, ზრდილობა, მოქალაქეობა, პიროვნების [illegible]ცემა, წრფელი გული და განათლებული [illegible] ყველა ამას კი, ჩემო მკითხველო, ქონება უნდა, ქონება ზნეობრივი და ნივთიერი. აი, აქ იწეწება გორგალი, აი აქ დაისმის წერტილი, და, თუ გნებავთ, გაკვირვებითი ნიშანიც!..

ისტორიულ წარსულს, თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობის და, თუ გნებავთ, თავის დაცვის სურვილს მაინც უნდა ესწავლებინა ჩვენთვის ჭკუა,

„გულისხმაში უნდა ჩავვგდეთ, მაგრამ სამაგიეროთ ყველა გადმოხვეწილის და „ბედის მაძიებელთა“ სამამულო ბურთი გავხდარვართ, ყველა ჩვენ გვატყუებს, ანკესზე გვაბამს. ალბათ იმიტომ ვარჩობთ ერთმანეთს, ალბათ იმიტომ ვრყვნით „ლანძღვის წერილებით“ ჯერ-ჯერობით გულუბრყვილო და უკრიტიკო მკითხველთა უმრავლესობის გემოვნებასა და აზრთა სვლას, იმიტომ არ ვცდილობთ ერთმანეთისათვის, რომ ალბათ უცხოელების იმედი გვაქვს!..

გარდა ამისა თანამედროვე ცხოვრებამ ისე დაგვაკნინა და დაგვაძაბუნა, ისე გადაგვყლაპა და გონება დაგვიბნია, რომ არც კი ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ, არც კი ვიცით, რა არის საშიში და რა არა. სწორეთ მოგახსენოთ ჩვენი გულის თქმა იმ მშიშარა ურიას მომაგონებს, რომელმაც ღამე ბუჩქი ვერ გაარჩია, ყაჩაღათ მიიღო და აკანკალებულმა შემდეგ ხერხს მიჰმართა: მოიხადა ქუდი, მერე არალჩინი ორთავე ხელზე ჩამოიგდო, მაღლა აიშვირა და შეუძახა ბუჩქსა, არ მომეკარო, თორემ მოგკლავთ, ხომ ხედავ, სამნი ვართო!.. სწორეთ ასე გვემართება ჩვენცა: საცა არა გვთხოვენ, იქ ცრემლებსა ვღვრით და საცა ერთი სიტყვის მეტი არ დაგვჭირდება, იქ ზედ შეხედვასაც ვერ გავბედავთ. ამ ზნეს დავადექით იმ თავითვე, შეეცვალა თუ არა ნიხრი საქართველოს ცხოვრებასა, და აბა რაღა საკვირველია, რომ დღეს ღვთის-წყალობა ღვთის-რისხვათ მიგვაჩნიათ და სამართლის გამჟღავნება-მომაკვდინებელ ცოდვათ!..

მაგალითათ, რა არის ან რა ყოფილა ქართველი კაცი მოხელე? ერთი რაღაც უფერული, უსახო არსება: თუ არა და — თავის ახლოს ქართველს არ გაიკარებს, თავის ხელქვეითათ ცდილობს ქართველები არ იყოლიოს, ვაი თუ პატრიოტათ დამსახონო. რა გაუკეთებია თვალსაჩინო ქართველ თავადაზნაურობას თავის უფლებებით? — ის, რომ ყელამდის ვალში არიან და შვილები მათი „ჩიტირეკიაობენ“. ან იქნება არ შეეძლოთ რამეს გაკეთება? ან კი რატომ? თუ კი თავის ერისათვის ნეტარ ხსენებულმა ხატისოვმა მთავრობას ნება გამოთხოვა და შუა-გულ საქართველო, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები აყარებელი სომხებით დაასახლა, ნუ თუ ჩვენ წარჩინებულთ აღარ შეეძლოთ ქართველებისათვის ზრუნვა? მაგრამ.. მათი გულ-გრილობა საშვილიშვილოთ გადაიცემა.

დიახ, ძლიერ უცნაური ხალხი ვართ ქართველები! სხვის დიდება-წარმატებას აღელვებაში მოვყავართ და სხვის გამდიდრება-გასუქება ნეტარების ცრემლებს გვაღვრევინებს! ეს ძლიერ კარგი და პატიოსანი და სწორეთ იშვიათი სათნოებაა! მაგრამ ამავე დროს ვცდილობთ, ჩვენ თავს მოვუაროთ?

ვაქცევთ ღირსეულ ყურადღებას, რომ ჩვენი სახლ-კარი, ჩვენი საზოგადო საქმე, ჩვენი კეთილდღეობა ტირილით იხოჭება?! ძალიან ნაკლებათ! ჩვენ დიდი ზარითა და ზეიმით გამოვაცხადებთ ხოლმე, რომ ესა და ეს უცხოელი ქართულ ენასა სწავლობსო და ამავე დროს გვავიწყდება ბუნებით ქართველი — ახალგაზდობა, ვისაც უფრო ბევრი მოწოდება აქვს და ზნეობრივათაც მოვალეა ისწავლოს რამე!.. რამდენი ყმაწვილი კაცია ჩვენში, რომ წყურია სწავლა. აქეთ ეცემა, იქით ეცემა და რომ ქართველთაგან შესაფერ დახმარებას ვერა შოულობს, იძულებული ხდება წავიდეს „კანცელარიებში“, ათას გვარი დამცირება, სირცხვილი გამოიაროს და, თუ ისიც მიიღეს, როგორც ქართველი, გროშისთვის ჩაჰკლას ყველა თავისი კეთილი მისწრაფება და ნორჩი, სადღერღელ-აშლილ ტვინის ძაფები უაზრო და უშინაარსო ქაღალდების ჯღაბნაში ჩალიოს!.. სად არის ჩვენი მეცადინეობა, ჩვენი ზრუნვა მათთვის?.. არსად! და ჩვენ კი ერთმანეთს თავ-პირს ვაჭამთ, არა, მე ვარ პირველი მოღვაწე და არა მეო! აბა, სულ ქვეშ ათქმევინეთ ამ „პირველთაგანებს“, რამდენი ყმაწვილი კაცი გაუგდიათ თავის კიბებიდან და, თუ არ გაუგდიათ, ორ გროშზე დაუბამთ და ოცი გროშისა უკეთებინებიათ?.. მაგრამ ვინ იცის, მკითხველო, იქნება უარი თქვან, ან თავი გაიმართლონ! ეს ხომ სიმართლე არ იქნება, რადგანაც ჩვენ „აბლაკატურ“ დროში თავის გამართლებაზე ადვილი რაღაა, თუ ბატონს „ბალლი!“ უთხარი და; სახედარიც რომ იყოს, კრავი უწოდე, ან თუ მჭრელიც თითონ არის და მკერვალიცა; მაგრამ რამდენი რამ მოთვალოს კაცმა, ან მსმენელი ვინ არის, ესეც კმარა, ჩემო მკითხველო, და. თუ გამოგელაპარაკე, იმიტომ, რომ იქნება შენ მაინც დამეთანხმო. ვიცი, ბევრს არ ეჭაშნიკება ჩვენი საუბარი, და, ლანძღვით თუ არა, გესლური ღიმილით მაინც დაგვაჯილდოვებს. მაგრამ შენ კარგათ იყავ, ჩემო ბატონო. მეც იმდენათ ვაფასებ მათ გულისთქმასა, იმდენათ მეშინია მათი, რამდენათაც თვითონ იმათ გული შეტკივათ „დაჩაგრულ ძმისათვის“. მხოლოთ მე ის მაწუხებს, რომ ძნელია, როცა ხედავ, რომ დაკლულ ძროხას შენც ქათმათ ზედ ეკვლები! როდესაც ყველა ცდილობს, „ცხოვრების მეჯლისზე“ თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს, ჩვენ, ქართველები, თავის ქებაში ვართ და სხვის ნასუფრალით ვიკვებებით. მოვა დრო და ძალიან მალეც, რომ უმიწა-წყლოთ დარჩენილ ქართველებს ჩაგვითრევს

თანამედროვე ცხოვრება და ლუკმა-პურის საშოვნელათ ბაზარში გამოვალთ და თუ უცოდინარნი, მოუმზადებელნი და ეროვნულ ელფერ—დაკარგულნი შევხვდებით ამ დროს, ვაი, თუ სხვისა ვისიმე უარესის „სათამაშო“ შევიქნეთ!..

ია. ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)

## ზეპირ-სიტყვაობის შეკრების გამო.

აც წელიწადზე მეტი იქნება, რაც ხალხის სიტყვიერ ნაწარმოების შეკრების თავდარიგში ვართ, მაგრამ ცდა ცდათა რჩება და საქმეს არავითარი წარმატება ეტყობა, ჩვენი სურვილი განუხორციელებელი რჩება. რა არ ვიღონეთ ზეპირ-სიტყვაობის შეკრებისათვის!.. 1882 წელსა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა პროგრამები სახელ-მძღვანელოთ სოფლის მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, რომ იმ დროს სასწავლებლები ბევრათ მცირე იყო ახლანდელზე, თვით მაშინდელ სკოლის მასწავლებლებსაც არ ესმოდათ ზეპირ-სიტყვაობის მნიშვნელობა და უმთავრესი მიზეზიც ეს იყო შეუკრებლობისა.

წერა-კითხვის საზოგადოებამ იფიქრა, უთუოთ მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს ზეპირ-სიტყვაობის შეუკრებლობისა, რომ თანამშრომლებს მატერიალურათ არ ვაკმაყოფილებთ და ამისათვის განიზრახა ფულის ძლევა.

ამ ორი წლის წინეთ, ბ. აკაკის მეთაურობით „კვალის“ რედაქციამ გამართა შეწირულობის მოგროვება ამ საქმისთვის და ერთი წლის განმავლობაში საკმაო ფული მოგროვდა რედაქციაში.

შემდეგ კი ეკონომიური კრიზისისა გამო საქმე შეფერხდა. ბ-მა აკაკიმ მაინც თავისი არ დაიშალა. ის აპირებს თავისი საკუთარი ნაწარმოებისათვის ჟურნალი „კრებულის“ გამოცემას, რომელშიაც დიდი ადგილი ეკავება ზეპირ-სიტყვაობას. ეს გარემოება იმედს უნდა იძლეოდეს, რომ ზეპირ-სიტყვაობის ბედიღბალს იქნება შეველოს რამე.

ჩემის აზრით ზეპირ-სიტყვაობის შესაკრებათ ერთი ადვილი გზაა. დავაარსოთ თფილისში ზეპირ-სიტყვაობისათვის საგანგებო კომიტეტი, რომელსაც სხვაგან პროვინციებშიაც ექნება განყოფილებანი. თითოეული კომიტეტი უნდა შესდგეს სამ-სამი მცოდნე და გამოცდილი პირისაგან. პროვინციის კომიტეტებს ეყოლებათ (ზეპირ-სიტყვაობისათვის) დასები, თითოეულ დასში უთუოთ 6 კაცი უნდა იყოს და თითო დასი თითო სამამასახლისოში უნდა ცხოვრებდეს. დასის თანამშრომლებს ექნებათ მინდობილი: პირველ დასს—ანდაზა და გამოცანების შეკრება; მეორეს—ლექსების და შაირების, მესამეს—ლეგენდების და ზღაპრების, მეოთხეს—ცრუმორწმუნოების და შელოცვების, მეხუთეს—ჩვეულებათა და სიმღერების და მეექვსეს—ცხოველების სახელების, მცენარეების, ფრინველების და სხვ.

თითოეული დასი თავის ნაშრომს წარადგენს სამაზრო კომიტეტში, რომელიც სამაზრო ქალაქში, გინა დაბაში უნდა იყოს დაარსებული. ხსენებული კომიტეტი, მიიღებს რა ყველა დასებისაგან შეკრებილ მასალას, განიხილავს და გაუგზავნის უმთავრეს კომიტეტს. თფილისის კომიტეტიც ამ გამოგზავნილ შემუშავებულ მასალას გადასცემს დასაბეჭდათ „კრებულში“; ამ წესით და რიგით სამი წლის განმავლობაში შეიკრიბება საკმაო მასალა.

ის აზრი კი, რომელიც ამას წინეთ გამოთქმული იყო, ფულით დაიქირაონ კაცები, გაგზავნონ სოფლებში და ისე შეკრიბონ, მეტათ ძნელი და მოუხერხებელი ასასრულებელია, რადგანაც ამას მეტათ ბევრი ფული დასჭირდება.

აი, თუნდა მოკლეთ ვიანგარიშოთ: საქართველოში ათი მაზრაა; თითოეულ მაზრაში ოც-და-ხუთი სამამასახლისოა; თითოეულ სამამასახლისოში სამ-სამი თანამშრომელი ვიანგარიშოთ, რადგანაც ჯამაგირზეა საქმე. სულ 750 თანამშრომელი იქნება. თითოეულზე სულ ცოტა რომ 200 მანეთი ვიანგარიშოთ წელიწადში, ესეც შეადგენს 150,000 მან. ახლა თვით იფიქრე, მკითხველო, თუნდა სამი წლის განმავლობაში რა მოუნდება. *)

მესხი ა. გვარამაძე.

---

*) დასასრულ აღვნიშნავ იმ პირებსაც, რომელნიც ამ საქმისათვის დაგვჭირდებიან.

კომიტეტებში იქნებიან პროვინციის ქალაქებში მცხოვრებნი და გამოცდილი მცოდნე პირები, ხოლო, სოფლებში კი—სოფლის მღვდლები, მასწავლებლები და ის კურს-დამთავრებულნი ნასწავლნი პირნი, რომელნიც უსაქმურათ (სოფლებში) ცხოვრებენ. შეიძლება ზაფხულობით სკოლის მოზდილ ბავშებსაც მიენდოთ, რომელნიც ორ-სამ თვეს თავისუფალი არიან.

ბ. გ.

## ზოგიერთი ცუდი თვისებანი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარმოებაში. *)

სოფელ კუხში 2 მარტს შედგა წევრთა წლიური ჩვეულებრივი კრება და, როგორც გვახსოვს, ამ კრებამ გადაწყვიტა: ა) ახალი 2000 პაის გამოცემა. ბ) განყოფილებების გახსნა და გ) აირჩია სარევიზიო კამისია 1896 წლის ანგარიშების შესასწორებლათ და სხვა... კამისიას უნდა გაეშინჯა წიგნები, შეესწორებია წინანდელი ანგარიშები, დაეხატა წარმოების მიმართულება მომავალში და თავისი მოსაზრება წარედგინა საგანგებოთ კამისიისაგანვე მოწვეულ კრებისათვის. მეორე კრება 30 მარტს შედგა და სარევიზიო კამისიამ წარმოადგინა მოკლე, სულ უბრალო მოხსენება, მაგრამ, კრებამ იმდენი მზრუნველობა გამოიჩინა, რომ ამ მოკლე მოხსენებაზეც არ იქონია სჯა.

თავმჯდომარეთ კრებამ დეკანოზი ცაგარეიშვილი დაასახელა; ამან კრებას მოახსენა, რომ თქვენს ამხანაგობის საქმეებს არ ვარ გაცნობილი და ნუ ამირჩევთო. კრებამ მაინც განუმეორა თხოვნა და იგიც დათანხმდა. შემდეგ დავინახავთ საქმიდან, რომ თავმჯდომარეობაზე მისგან უარის თქმა გულწრფელი იყო და მისაღებიც.

მდივნათ კრებამ ბ. ევ. ქუთათელაძე აირჩია; შემდეგ შეუდგა წევრთა სიის წაკითხვას; ნიშნავდენ ვინც იქ დაესწრო. აღმოჩნდა, რომ ამ კრებაზე 300 წევრი გამოცხადდა. ამას შემდეგ კრებამ სარევიზიო კამისიის წევრების მოხსენება მოისმინა. აი, სარევიზიო კამისიის წევრების მოხსენება:

„30 მარტი 1897 წ. მოხსენება სარევიზიო კამისიისა, მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის საგანგებო კრებისადმი“.

„სარევიზიო კამისიას თანახმათ 2 მარტის წლიური კრების გადაწყვეტილებისა, ჰქონდა სხდომა შესახებ ამხანაგობის ანგარიშების და წარმოების განხილვისა ექვსჯერ, რომელ სხდომებზედაც ცალ-ცალკე განხილული იყო შემდეგი საგნები: 1—წლის ბარათების შემოსავალი. 2—თესლის ანგარიში. 3—პარკის ყიდვა-გაყიდვა. 4—შემოწმება კუხის ბანკის წიგნებისა, რომლებშიაც არის მოხსენებული მეაბრეშუმეთა ამხანაგობის სახელით ფულის შეტანა—გამოტანა. 5—ქონების წიგნი. 6—მთელი საანგარიშო წიგნები. 7—აღწერა ამხანაგობის ყოველივე ქონებისა და აღმოჩნდა, რომ პირველ კრებაზე მართველისაგან წარმოდგენილი ანგარიში ეთანხმება საანგარიშო წიგნების ჯამებს. (ძალიან არ გამოიცნო კამისიამ (?!) ანგარიში წიგნების ჯამებს ეთანხმებაო!, აი, ანგარიშების შესწორება, აი თვით კმაყოფილებაც!!) რაც შეეხება საანგარიშო წიგნების წარმოებას, შევნიშნავთ შემდეგს: წიგნების წარმოების წესი არის რიგიანი და გასაგები, მხოლოთ აქა-იქ სხვა-და-სხვა ხარჯები არის ერთ ხაზში მოქცეული (შევეკითხოთ, სარევიზიო კამისიას: რანაირათ შეიძლება რომ „ერთ ხაზში“ სხვა-და-სხვა ხარჯები მოთავსდენ?! თუ წერია: პური ლობიო, სანთელი და წიგნი უდრის—ამდენსო, მაშინ მივხვდებით რაც „რიგიანი“ ყოფილა წიგნების წესი!), რომელშიაც უნდა ყოფილიყო ჩაწერილი მარტო ერთ გვარი ხარჯი; მაგალითათ: სამმართველოს ხარჯებში არის მოქცეული წიგნების (ფასი) და გომეოპატიური აფთექის ფასი, რომელიც უნდა ჩათვლილიყო ქონებაში. აგრეთვე ყოველგან არ არის სუფთათ და გარკვევით ჩაწერილი. (ეს წინადადება, როგორც გინდა გაშინჯეთ, გაურკვეველია და „გაურკვეველი“ არეულს ეთანასწორება.). სასურველია, რომ თანახმათ ამხანაგობის წესდების მე 16. მუხლისა შემდეგში მაინც ყოველ შემოსავალ-გასავლისათვის ხმარებული იქნეს ორდერები იმ წესით, როგორც მოითხოვს მოხსენებული მე § 16.“

„განსაკუთრებით ყურადღება კომისიისა მიიქცია იმ გარემოებამ, რომ დღემდის მთელი მოგება ამხანაგობისა წარმომდგარა მარტო პარკის გაყიდვისაგან, ხოლო საქსოვს და თესლს არავითარი მოგება არ შემოუტანია ზარალის მეტი, რომელიც აიხსნება იმ გარემოებით, რომ თესლი გაცემულა ნისიათ იმ პირებზედაც, რომელნიც ამხანაგობის წევრათ არ ყოფილან; თესლი ყოფილა ნაყიდი ბევრი და გვიან; არ გვყოლია საქსოვისათვის მცოდნე ოსტატი (მქსოველი). მომავალში ამ ზარალის ასაცილებლათ საჭიროა, ან გვეყავდეს რიგიანი მქსოველი, თუ ძვირათ არ დაგვიჯდება, ან და დროებით საქსოვის წარმოება შეჩერდეს. რაც შეეხება თესლის ვაჭრობას, უმჯობესია ამხანაგობის წევრს გარდა არავის მიეცეს ნისიათ. თანახმად წეს დების მე § 14 და ასაცილებლათ ზემორე შენიშნულ ნაკლულევანებათა სარევიზიო კამისია საჭიროთ თვლის ახალ წეს-დების დამტკიცებამდე, მოკლე-დროებითი ინსტრუქციის შედგენას.“

„თავმჯდომარე პ. ჩხიკვიშვილი, ბლაღოჩინი მაჭარაძე, მათე ბახტაძე, ბართლომე მოსეშვილი, მღვ. ნესტორ ლეჟავა, ი. კაკაბაძე.“.

აი, ასე უბრალო, დაულაგებელი მოხსენება წარმოადგინა სარევიზიო კამისიამ, რომლის წევრათ მეც გახლავართ; ამას შევადაროთ ვითომ და მთელი კრების

*) იხ. „კვალი“ № 23.

გადაწყვეტილება და შემდეგ სათითაოთ გავარჩიოთ.

„1897 წ. მარტის 30 დღესა შედგა ს. კუხს ჩვეულებრივი კრება მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა, თანადასწრებით სამასი კაცისა, რომელთაც აღირჩიეს ერთ-ხმათ თავმჯდომარეთ დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილი და მდივნათ ევგენი ქუთათელაძე შემდეგ კრების გახსნისა საზოგადოებამ მოისმინა წერილობითი მოხსენება რევიზიის კამისიისა წასულ 1896 წლის ანგარიშისა და უმეტესობით გადაწყვიტა: 1) დამტკიცდეს წლიური ანგარიში 1896 წლისა, წარმოდგენილი მართველობისაგან და განხილული რევიზიის კომისიისაგან; 2) დარჩეს თესლის აღებ-მიცემობის წარმოება ჩვეულებრივ-წესრიგზე. (ჩვეულებრივზე კი არა, კრებამ გადაწყვიტა მიეცეს თესლი ნისიათ არა წევრსაც, ამხანაგობის წევრის თავდებობით.“) 3) 1896 წლის მოგებიდან საზოგადოებამ გადადვა სათადარიგო თანხისათვის 440 მანეთი (ოთხას ორმოცი მანეთი); 4) ძირის თანხას მოემატა ოთხას ორმოცი მანეთი; 5) მიეცა საჩუქრათ მღვდელს ცაგარეიშვილს, როგორც მოლარეს თუთხმეტი თუმანი და მდივანს მაჭარაძეს ორმოცდა ათი მანეთი; 6) დაუნიშნეს მონაწილეს, მოგებათ, წილზე ორი მანეთი; 7) მემკვიდრეებს სიმონ ბალანჩივაძეს ოცი მანეთი; 8) თვრამეტი თუმანი ჩაირიცხა ინვენტარის ხარჯის დასაფარავათ; 9) დაენიშნა მდგომარე წელს მართველს ასი თუმანი ჯამაგირათ (1000 руб.); (ამის მერე კრება დაიშალა და შემდეგ დადგენილობაც მხოლოთ რამდენსამე კაცს ეკუთვნის და არა კრებას.), 10) დაენიშნა მოლარეს მღვ. ცაგარეიშვილს ჯამაგირათ სამასი მანეთი (300 р.); 11) საზოგადოებამ (!) აირჩია მდივნათ სამი წლის (!) ვადით აზ. კოსტანტინე ივანეს ძე ქუთათელაძე და წლიურ ჯამაგირათ დაუნიშნა ოთხასი მანეთი (400 р.); 12) კანდიდატათ მართველისა საზოგადოებამ (!) ამოირჩია ბართლომე მოსეშვილი; 13) შესახებ შალის წარმოებისა საზოგადოებამ დაავალა კამისიას, რომელიც ამორჩეულია ახალი წესდების შესამუშავებლათ, რომ მან წარმოადგინოს კრების პროექტთან ერთათ თავისი მსჯელობა ამ საგანზე. (ერთი მითხარით: ვინ უფრო კარგათ იცის შალის ქსოვა-კეთება ამ კამისიის წევრთაგანმა?! ახალებენ: იცი თუ არა, შალი კი მომიქსოვეო, ხათაბალაა!!); 14) რაც შეეხება აბრეშუმის ქსოვილებს, ის საზოგადოებამ დატოვა მართველის განკარგულებაში (!!); 15) საზოგადოებამ ერთ ხმათ მიიღო მოხსენება რევიზიის კამისიისა ორდერების შემოღებაზე.“—მეორე დღეს ვნახეთ და 37 კაცს მოეწერა ხელი; 66—კაცის უწერილობის სია შეედგინათ.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


ХАРЬКОВСКАЯ

ЗУБОВРАЧЕБНАЯ ШКОЛА

**ОТКРЫВАЕТСЯ СЪ 1-го СЕНТЯБРЯ.**

Принимаются прошенія отъ лицъ, желающихъ получить званіе зубнаго врача или дантиста.

Съ разрѣшенія г. попечителя учебн. окр воспитанники школы имѣютъ свободный входъ въ анатомическій театръ и лабораторію университета. Составъ лекторовъ слѣдующій: профессора универ. гг.: Поповъ С., Бѣлоусовъ, Додукаловъ, Орловъ и Репревъ; лаборантъ унив. Θедоровскій и докт. мед. Немировскій. Обращаться къ учредителю д-ру Немировскому (Николаевская площадь, д. Штейфона). (4 – 2).

გამოვიდა ახალი წიგნი

ზანგი და თეთრი

შვიდი ცინკოგრაფიული ნახატით.

ჯეჯილის გამოცემა

ფასი 15 კაპ., ხოლო საჩუქრათ, ვარაყიან ყდაში, ღირება 1 მან. 20 კაპ. იყიდება „წერა-კითხვის საზ.“ წიგნთ-საცავში და „ჯეჯილის“ რედაქციაში,

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)


Доз. ценз. Тифлисъ, 7 Іюня 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.